ჩვენი რედაქცია ახალ მისამართზეა: მაჩაბლის 7. ტელ. 2 93 37 87.

საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოლოდროინდელი სიფცვაა, ფცუილებით და ჭოჭებით ბუსთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 24 აპრილი, 2015 წელი.

№74 (7719)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

◎ სამართალი სულ მარტივი აღსადგენია

ორბელიანთა სასახლე (ათონელზე) – გამომცემლობა „სამშობლოდან“ გამოყრილ ჟურნალისტებს, ანუ მეოთხე ხელისუფლებას!

2

ცხოვრება ისეთი რამ არის, თავადვე ამწიფებს ბევრ ისეთ საკითხს, რომელი საკითხებიც თავის დროზე სრულიად უკანონოდ, უფრო სწორად, ძალადობით „დაამკვახა“ თავისი ერთი არასახელმწიფოებრივად მოთამაშე ადგილის ქეიფისდა მიხედვით ხელში ვარდებით და გულში ხალხისთვის დარდების მომტანი პოლიტიკით მოსულმა აშკარად ძალმომრე ხელისუფლებამ.

ამ ძალმომრე, გულშავი, ეგრეთ წოდებული პირველი ხელისუფლების პირველი საბედისწერო მსხვერპლი გამოდგა ისევ ეგრეთ წოდებული მეოთხე ხელისუფლება, რომელიც ერთ სავსებით არამშვენიერ დღეს ეგრეთ წოდებული მზაკვარი ჭაბუკი პრეზიდენტის ბოროტი განკარგულებით ქუჩაში აღმოჩნდა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

უფრო ნათლად თუ ვიტყვით, ასეთი ცხადი სურათი დაიხატება: 2007 წლის 10 აგვისტოს დილის 4 საათიდან გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობას ორფა ალყა შემოარტყა მერაბიშვილის მონა პოლიციამ და დილით სამსახურში მისული ათობით რედაქციის ჟურნალისტი შენობაში, უფრო სწორად, თავ-თავიანთ რედაქციებში არ შეუშვეს. მერე გაიცა განკარგულება: **რის გამოტანასაც 2 საათიდან 5 საათამდე მოვასწრებდით, ხომ კარგი, რასაც ვერ მოვასწრებდით, ისიც შენობის შემსყიდველ „ფულის ტომარას“ დარჩებოდა (როგორც ამბობენ, ყოფილი ქალაქის მერის უგულავას ვინმე მოგვარეს!)... და სამ საათში გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობა ზუსტად იმ „რაიხსტაგს“ დაემსგავსა, რა მდგომარეობაში ის ბენზინგადასასხმელი ფიურერის შემდეგ 1945 წლის მაისის პირველ რიცხვებში აღმოჩნდა.**

პატივგება გმირებს

ბელარუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ თბილისში, გმირთა მოედანზე საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულ გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკო.

ლუკაშენკოსთან ერთად გმირთა მოედანზე იმყოფებოდნენ ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი ირინა იმერლიშვილი და პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გიორგი პატარაია.

ლუკაშენკო, რომელიც საქართველოში პირველი სახელმწიფო ვიზიტით იმყოფება, გმირთა მოედანზე ავლაბრის რეზიდენციიდან მივიდა. ლუკაშენკო პირისპირ შეხვდა პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს. ორივე ქვეყნის პრეზიდენტებმა ერთობლივი პრესკონფერენციაც გამართეს.

ბელარუსი – სტაბილურობის ოაზისი

9

ავთანდილ კვეზერელი-კოპაძე – ქართული პედიატრიის სინდის-ნამუსი

5



ალექსანდრე ლუკაშენკო:

ქართველ, ბელარუს და რუს ხალხებს შორის არ არის წინააღმდეგობა, გაუგებრობაა პოლიტიკურ დონეზე

ლუკაშენკოს თქმით, საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრაზე საუბარი იყო რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზებაზე, თუმცა, დეტალებში გამხელის უფლებამოსილება ჯერ არ გააჩნია.

„ჩემს წინაშე არავის არანაირი ახალი პრობლემები არ დაუყენებია. მხოლოდ თქვენ თქვით ამის შესახებ ასეთ კონტექსტში. მართალია, პრეზიდენტიც ამბობდა, რომ ყველა ამ გაურკვევლობის, საქართველოსა და რუსეთს შორის ომის შემდეგაც კი, საჭირო იყო რაღაცნაირად უფრო რბილად აწყობა ურთიერთობებისა და არგადადგმა რაღაც ნაბიჯებისა, რომელიც თქვენ ახსენეთ. შეიძლება, მაგრამ მე და პრეზიდენტი რეალისტები ვართ და ვთქვით, მოდი გავავლოთ ხაზი და შევხედოთ ხვალინდელ დღეს — რა ნაბიჯების გადადგმა შეიძლება იმისათვის, რომ საქართველოს, რუსეთს შორის ურთიერთობების ნორმალიზება და ბელარუსთან ურთიერთობების გაღრმავება მოხდეს. ვფიქრობ, უახლოეს ხანში, ჩვენ ვიპოვით თუნდაც ერთ პასუხს პატარა კითხვაზე — რა ნაბიჯი გადავდგათ იმისთვის, რომ არამხოლოდ შევწყვიტოთ ეს რიტორიკა, არამედ დავაახლოვოთ სახელმწიფოების პოზიცია და ვიცხოვროთ ერთ ოჯახში, როგორც ეს ერთ დროს იყო. ქართველ, ბელორუს და რუს ხალხებს შორის არ არის წინააღმდეგობა, არის გაუგებრობა პოლიტიკურ დონეზე.

ბელარუსის პრეზიდენტის, ალექსანდრე ლუკაშენკოს განცხადებით, პოლიტიკური ურთიერთობების კუთხით, კმაყოფილებით სურს, აღნიშნოს, რომ კონსტრუქციული ურთიერთობა აქვთ საქართველოსთან, იქნება ეს ეუთოს თუ „აღმოსავლეთ პარტნიორობის„ ფორმატი.

„ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი შეთანხმებების და სწრაფვების განხორციელება. თუ ჩვენი მთავრობები ეფექტურად ითანამშრომლებენ და ჩვენი შეთანხმებების რეალიზება მოხდება, ბელარუსის კონტრიბუცია ძალიან მაღალი იქნება. ჩვენ გვინდა ამის გაკეთება არ მხოლოდ მეგობრებისთვის, არამედ ჩვენი ძმებისთვის. ჩვენ ვცხოვრობდით ერთ სახლში. ჩვენ, ბელარუსებს კარგად გვახსოვს ამის შესახებ“, — განაცხადა ლუკაშენკომ.

როგორც მან აღნიშნა, საქართველოს პრეზიდენტს კოოპერატივების განვითარებაში დახმარების და ბელარუსის გამოცდილების გაზიარების პირობაც მისცა.

ბელარუსის პრეზიდენტმა საქართველოს პრეზიდენტს და ქართველ ერს სტუმართმოყვარეობისთვის და კეთილგანწყობისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ასეთ კარგ განწყობას ბელარუსები ყოველთვის სიკეთით პასუხობენ.

თანამშრომლობის მიზნით 10-ზე მეტი შეთანხმება გაფორმდა

დოკუმენტებს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, ეკონომიკის, ფინანსთა, შინაგან საქმეთა, საგარეო საქმეთა, განათლებისა და სოფლის მეურნეობის მინისტრებმა და მათმა ბელარუსმა კოლეგებმა მოაწერეს ხელი.

ხელმოწერის ცერემონიას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და ბელარუსის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო დაესწრნენ.

ხელმოწერილია 10-ზე მეტი შეთანხმება, რომელიც საქართველო-ბელარუსის სამთავრობო უწყებების მჭიდრო თანამშრომლობას გულისხმობს, მათ შორისაა თანამშრომლობა ორი ქვეყნის საგარეო უწყებებს შორის, დანაშაულთან ბრძოლის სფეროში, საბაჟო საკითხებში, ჯანდაცვის, განათლებისა და სოფლის მეურნეობის სფეროებში, ასევე, ურთიერთგაგების მემორანდუმი იუსტიციის სამინისტროებს შორის.

◎ მეგობრობა ვაჭრობაშიც კარგია!

საქართველო-ბელარუსის ეკონომიკური თანამშრომლობა და რუსეთის ფაქტორი

22 აპრილს, ვიდრე ბელარუსის პრეზიდენტი ალექსანდრ ლუკაშენკო თბილისს ესტუმრებოდა, საერთო ენა გამონახეს ორი ქვეყნის მინისტრებმა და, მათ შორის, სოფლის მეურნეობის მიმართულებითაც... მხარეები ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებასა და ერთობლივი საწარმოების შექმნაზე შეთანხმდნენ. შეუშლის თუ არა ამ პერსპექტივას ხელს ის ფაქტი, რომ, აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამის წევრობის მიუხედავად, ბელარუსი რუსეთის თაოსნობით მოქმედი საბაჟო კავშირის წევრია, ხოლო საქართველო ევროკავშირის ასოცირებული პარტნიორი?

საქართველოსთვის ბელარუსი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სავაჭრო პარტნიორია და ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როცა სავაჭრო სალდო დადებითია, ანუ საქართველოდან ექსპორტირებული პროდუქცია აღემატება ბელორუსიიდან იმპორტირებულს. ამასთან, როგორც სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარე კახა ბაინდურაშვილი აღნიშნავს, ბოლო წლების პრაქტიკით, მაჩვენებლები საქართველოს სასარგებლოდ იზრდება:

„10 წლის განმავლობაში თუ შევადარებთ მაჩვენებლებს, 2004 წლიდან დაახლოებით 12-ჯერ არის გაზრდილი საქართველოს ექსპორტი ბელარუსში. ბუნებრივია, ეს ბელარუსს ხდის ძალიან მიმზიდველ ბაზრად ჩვენი პროდუქციისთვის. ამ ეტზე საქართველოდან ძირითადად გადის ალკოჰოლური და მინერალური სასმელები“.

ეს კომენტარი კახა ბაინდურაშვილმა ორი ქვეყნის სავაჭრო-სამრეწველო პალატების მიერ ორგანიზებულ საქართველო-ბელარუსის ბიზნესფორუმზე გააკეთა, რომელშიც მონაწილეობას იღებს 38 კომპანიის 40-ზე მეტი წარმომადგენელი ბელარუსიდან. 22 აპრილს ბიზნესმენებმა ძველი თანამშრომლობა განამტკიცეს — 4 მილიონ დოლარამდე ღირებულების რამდენიმე პროექტის განხორციელებაზე შეთანხმდნენ და, პარალელურად, თანამშრომლობის ახალი გზების ძიება დაიწყეს.

თანამშრომლობის ახალ გზებზე მსჯელობდნენ ოთხშაბათს სოფლის მეურნეობის სამინისტროში შეკრებილი ორი ქვეყნის მინისტრებიც. ოთარ დანელიამ უმასპინძლა ბელარუსის სურსათისა და სოფლის მეურნეობის მინისტრ ლეონიდ ზაიაცსა და ბელარუსის მრეწველობის მინისტრს ვიტალი ვოვკს. ოფიციალური ინფორმაციით, შედგა გაფართოებული შეხვედრაც, რომლის ფარგლებშიც „განიხილეს ერთობლივი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების შექმნისა“ და ასევე საქართველოში ბელორუსული „სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სერვისცენტრის მოწყობის“ საკითხები. თანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც ერთობლივი საწარმოების შექმნის ხელშეწყობას ითვალისწინებს, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ბელარუსის მრეწველობის სამინისტროს შორის 23 აპრილს გაფორმდება.

თანამშრომლობა კარგია, მაგრამ ამ შემთხვევაში თავს იჩენს ერთი შეკითხვა — შეძლებენ კი ჯანსაღ და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობას საქართველო და ბელარუსი? საქმე ის არის, რომ, მართალია, ორივე ქვეყანა — საქართველოც და ბელარუსიც — ჩართულია ევროკავშირის აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამაში, განსხვავებულია მათი პრიორიტეტები და თუკი საქართველო მტკიცედ მიიწევს წინ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ფარგლებში, ბელარუსი წევრია საბაჟო კავშირისა, რომელიც რუსეთის ჩანაფიქრის — ევრაზიული კავშირის — საყრდენად განიხილება.

კონკრეტული პროექტების განხორციელებაში საეჭვოს ვერაფერს ხედავს საქართველოს სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის ვიცე-პრეზიდენტი ირაკლი ფორჩხიძე და ჩვენთან საუბრისას ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ევროკავშირი საქართველოს ეკონომიკურ თანამშრომლობას არავისთან უკრძალავს. ექსპერტის აზრით, მთავარია, რომ საბაჟო კავშირის წევრ ბელარუსთან ეკონომიკური თანამშრომლობის გზაზე ხელისუფლებამ მუდმივად გაითვალისწინოს საქართველოს ინტერესები:

„ჩვენს მთავრობას უნდა ესმოდეს, რომ არ დაიწყოს ისეთი თანამშრომლობა, რომელიც ამ მიმართულებას, ამ ვექტორს შეუქმნის პრობლემას. იმედია, რომ გრძელდება არა მარტო დეკლარირებით, არამედ საქმითაც ის მიმართულება, რომელიც საქართველოს ჰქონდა არჩეული. შესაბამისად, ვიმედოვნებ, რომ საქართველოს მთავრობა არ მოისურვებს ისეთ ურთიერთობაზე წასვლას, რომელიც ამ ყველაფერს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს“.

საბაჟო კავშირის წევრ ბელარუსთან ეკონომიკურ თანამშრომლობაში ამ ეტაპზე საქართველოსთვის საფრთხილოს ვერაფერს ხედავს ვანო ჩხიკვაძე, ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს“ ევროინტეგრაციის მიმართულების მენეჯერი. როგორც მან უთხრა რადიო თავისუფლებას, ბელარუსი ცდილობს, მაქსიმალური სარგებელი მიიღოს ევროკავშირთან საქართველოს დაახლოების პროცესში.

წმინდა პრაგმატული ინტერესის გარდა, ვანო ჩხიკვაძის თვალთახედვით, ბელარუსი ცდილობს, შეასრულოს ერთგვარი დამაკავშირებელი ხიდის როლი ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის მქონე ქვეყნებსა და საბაჟო კავშირში მყოფ ქვეყნებს შორის.

ლელა კუნჭულია

◎ სამართალი სულ მარტივი აღსადგენია

ორბელიანთა სასახლე (ათონელზე) — გამომცემლობა „სამშობლოდან“ გამოყრილ ჟურნალისტებს, ანუ მეოთხე ხელისუფლებას!

(პირველი გვერდიდან)

თუმცა, ღრმად ვართ დარწმუნებული და აკი იმ დღეებში ხმამაღლაც გაისმოდა: **ამას არ ჩაიდენდა თვით პირსისხლიანი ჰიტლერიც, არ ჩაიდენდა არც მურვან ყრუ, არც შაჰბასი და ჯალალედინი. ყოვლად წარმოუდგენელია, რომ თავიანთ კუთვნილი შენობიდან (თავიანთი მრავალწლიანი საჰონორარო გამომუშავებით აშენებული გამომცემლობიდან ჯერ კიდევ კომუნისტურ ეპოქაში) ასე ჯალათურად, ასე შემოსეული მტრის ჟინით გამოეყარა თითქმის სამი ათასი შემოქმედებითი მუშაკი და საქვეყნო შემოქმედებასთან დაკავშირებული მრავალი სპეციალისტი.**

ესეც შენი თავისუფალი, დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველო! მოძალადე ნაციონალებმა თავიანთი ძალაუფლებისგან გადარეული სააკაშვილის ფიურერობით სულ უნამუსობის ტალახში ამოსვრილ ფეხებზე დაიკიდეს თავისუფლებაც, დამოუკიდებლობაც და დემოკრატიაც!

ძალმომრე ნაციონალების და, კერძოდ, შავად გულაჯეჯილებული სააკაშვილის მთავარ პოლიტიკად იქცა: **ჩვენ ვართ და ჩვენი ნაბადი! ვინც ჩვენს ანტიხალხურ პოლიტიკას არ იზიარებს, ის ჩვენი დაუძინებელი მტერია! და ვიყავით ასე მთელი ცხრა წელიწადი თავში ჩაჩაჩქუნებული მტრის მდგომარეობაში! ბევრი რედაქცია დაიხურა, ზოგიერთმა მომთაბარეობა დავიწყეთ, ოთუს ბირად ნაქირავებ ბინებში განვაგრძობთ დღესაც მუშაობას, თუ ამას მართლა მუშაობა ეთქმის!**

და აი, ბოლოს და ბოლოს თითქმის სამართლიანობის მორთვლიანების შემოდგომა ჩამოდგა. პირველ ხელისუფლებას შესაძლებლობა გაუჩნდა, რომ საკადრისად მოექცეს ამჟამად ძებნილი სააკაშვილისგან ქუჩის ანაბარა დატოვებულ მეოთხე ხელისუფლებას.

ეს შესაძლებლობა კი ასეთია:

ერთ დროს პლასტელინად თავწარმოდგენილი პრეზიდენტი მარგველაშვილი, რომელიც ამ პოსტზე ასარჩევად ცნობილ კაროუნასავით დაჰყავდა ნაციონალების და, კერძოდ, პოლიტიკური თაღლითის სააკაშვილის ღვთის რისხვას, ყოველგვარ თანამდებობაზე უარის მთქმელ ბიძინა ივანიშვილს, ამჯერად გაჯიქდა, გაკერპდა, გაოჩნდა, ჯიბრზე შედგა, უფრო სწორად, ჯორზე შეჯდა და ისეთი გაქირი ქნა, პლასტელინი კი არა, რვალი და ფოლადი შემირცხვენია!

ერთი სიტყვით, უკვე აშკარად გამოპლასტელინებული პრეზიდენტი დაუფარავად ნაციონალების მხარდაჭერითა და ცხადი გაქეზებით ავლაბრის სასახლიდან არ გამოდის (ზუსტად ასე, მავანი და მავანი ქორწილიდან რომ არ გამოდიოდა, ჩემს სახლს აქა სჯობიაო!), **ორბელიანების სასახლე კი, ათონელზე, ძვირფასად გარემონტებული, ამაოდ ცდება! ამიტომ, ჩვენ, მეოთხე ხელისუფლების წარმომადგენელთ, ამ რვა წლის წინათ სრულიად უკანონოდ ქუჩაში გამოყრილთ და თბილისის ხან რომელ და ხან რომელ მისამართზე კარდაკარ მოხეტიალეთ, სავსებით სამართლიანი სურვილი გაგვიჩნდა:**

ეს გამოყრილი და კარდაკარ მოხეტიალე ჟურნალისტები გავერთიანდით და მოვილაპარაკეთ, რომ შექმნილი ფრიად დიდი, მართლაცდა ანტისახელმწიფოებრივი უხერხულობისგან ვიხსნათ პრეზიდენტიც, მთავრობაც, ქვეყანაც და რადგან საკითხი აშკარად ჩვენდა სასარგებლოდ მომწიფდა, ასეთი წინადადებით მივმართავთ წლების მანძილზე ნაოცნებარ ხელისუფლებას:

ბატონებო, სამართალი სულ მარტივი აღსადგენია: ვინაიდან ორბელიანთა სასახლე (ათონელზე) დღემდე ცარიელია და ცდება, ვინაიდან იქ არც პრეზიდენტი გადადის და არც პრემიერ-მინისტრი, ჩვენ, ქართველი ჟურნალისტები, თავის დროზე „სამშობლოდან“ უსამართლოდ გამოყრილები, თანახმანი ვართ, რომ შევსახლდეთ იქ და თქვენთან ერთად, ანუ პირველმა და მეოთხე ხელისუფლებამ, ერთი ძალით, მთელი პატრიოტული შემართებით განვაგრძოთ მართლაც თავისუფალი, მართლაც დამოუკიდებელი, მართლაც დემოკრატიული საქართველოს აღმშენებლობა!

მერე დადგნენ ეს ქვეყნის ამომგდები ნაციონალები და თავიანთ თავლაფდასხმულ ფიურერთან ერთად (ბენზინის გადამსხმელი ეგ არ არის!) იძახონ: „ქართული ოცნება“ ჩვენს მიერ საუკუნოდ დანერგილ უსამართლობას სამართლიანობად ვერასოდეს ვერ აღადგენსო!

გურამ გოგიაშვილი

P. S. თუ პრეზიდენტი მარგველაშვილი ბოლოს და ბოლოს მაინც დათმობს ავლაბრის რეზიდენციას, ჩვენ გაგვატარეთ ბატონებო, უსახლკარო ქართველი ჟურნალისტები, არც იქ შესვლაზე ვიტყვით უარს!

გ. გ.

◎ სათქმელი

ლუარსაბი რომ გაჯობებს?!

„ — შენ ერთი ახირებული კაცი ხარ: რასაც იტყვი, ხომ კაცი ვერ გადაგათქმევინებს? — ცოტა წყენით უთხრა დარეჯანმა დაჟინებულს ლუარსაბსა.

— მაშ? კაციც მაგისთანა უნდა. ის ხომ კარგია, დღეს ერთი სთქვას, ხვალ სხვა? — სთქვა ლუარსაბმა, შემოიყარა დოინჯი და გამარჯვებულსავით ამაყი შეხედულობა მიიღო.“

* * *

დიახ, ღრმად პატივცემულ ლუარსაბ თათქარიძესაც კი ესმოდა, რომ კაცი სიტყვის პატრონი უნდა იყოს.

ჩვენს ღრმად პატივცემულ პრეზიდენტს ეს არ ესმის.

იმ რეზიდენციაში როგორ შევალ, სააკაშვილის ცხრაწლიან რეჟიმთან და ათას სიბინძურესთან რომ ასოცირდება, თანაც ეს სასახლე ხალხის რესურსებით აშენდა და ისევ ხალხს უნდა მოხმარდესო, - ეს თითქოს არც უთქვამს.

შევიდა. მოეწონა. დარჩა.

დარჩა და ცოცხალი თავით აღარ გამოდის(?!)...

შემოიყარა დოინჯი, გამარჯვებულსავით ამაყი შეხედულობა მიიღო და ჟურნალისტებს განუცხადა, სასახლიდან არგამოსვლით ჩემს პიროვნულ ღირსებასა და პრეზიდენტის ინსტიტუტის პრესტიჟს ვიცავო.

სიტყვის გატეხვით ღირსება და პრესტიჟი ვის დაუცავს?!

ლუარსაბი რომ გაჯობებს?!

არადა, ბევრი რამით ჩამოჰგავს, განსაკუთრებით უსაქმობით.

„ცრუსთავი-2“ გამოკითხვას სულ სხვა თემაზე უნდა ატარებდეს. მოქალაქეებს ამ შეკითხვით უნდა მიმართავდეს: „თქვენი აზრით, რას აკეთებს საქართველოს პრეზიდენტი?“

ისე, მართლა საინტერესოა, დილით რომ იღვიძებს, საკუთარ თავს თუ ეკითხება, დღეს რა უნდა ვაკეთოო?

სააკაშვილი რაღაცას მაინც აკეთებდა (ჭამის გარდა) — დარბოდა, ერთსა და იმავე ფაბრიკას სამ-სამჯერ ხსნიდა, შიგადაშიგ, მინისტრებსაც ხსნიდა...

ამან რა უნდა აკეთოს?!

ამბობენ, ავლაბრის რეზიდენციაში (ჯერჯერობით) ბუზები არ არიანო, თორემ ლუარსაბს ერთ „საქმეში“ მაინც მიბაძავდა.

არადა, მილიარდიან სასახლეშია გამოჭიმული!

ლამის დავიჯერო, რომ იქ ერთადერთი მისიით არის „გამაგრებული“ - სააკაშვილს სასახლე შეუნახოს.

„ცრუსთავ-2“ - ის თავგამოდება ამ ეჭვს გარკვეულ საფუძველს უჩენს.

თანაც, ბოკერიასა და იაკობაშვილის მეგობრისაგან ეს არცთუ დაუჯერებელია.

ათონელის ქუჩაზე ულამაზესი შენობა გაუმზადეს, მაგრამ აქედან ფეხს არ მოვიცვლიო, - „უცილობლობს ვითა ჯორი“...

ეს მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის სურვილია, ჩემი დამოუკიდებლობა(?!) და პრინციპულობა(?!) არ მოსწონს და იმიტომაო, — ისე აცხადებს, თითქოს, ივანიშვილის გარეშე ან მინისტრობა დაესიზმრებოდა, ან მით უმეტეს პრეზიდენტობა.

ხალხმა რა დააშავა, თორემ ივანიშვილზე ნამდვილად ახია, ფაქიზოსავით რომ დაატარებდა და მოგვმართავდა, ყველა ღირსებით შემკულია და თუ არ აირჩევთ, სამუდამოდ გაგებუტებითო.

ღმერთმა ნუ ქნას და მეშინია, პირიქით არ მოხდეს - ხალხი არ გაებუტოს.

ყველაფრიდან ჩანს, რომ ივანიშვილის ხათრით არჩეულ პრეზიდენტს ეს სულაც არ ადარდებს.

* * *

ავლაბრის რეზიდენციის ფართობი ათი ათასი კვადრატული მეტრი ყოფილა.

მართლაც კურიოზია, სააკაშვილის მიერ გაფცქვნილი და შეურაცხყოფილი კონსტიტუციით, არსებითად, უფუნქციოდ დარჩენილ პრეზიდენტს ამხელა ტერიტორია ეკავოს.

ფართის ნაწილი უბინაო (მაგალითად, დევნილ) თეატრებს მაინც დაუთმონ, ოღონდ, ერთი პირობით: პირველ პრემიერად ილია ჭავჭავაძის „კაცია — ადამიანი“ წარმოადგინონ...

იოსებ ჟუმბურიძე

◎ აფრასიძეების საქმეზე გამოძიება სრულდება

ნაციონალები ზურაბ ქაჯაიას დაკავებას წინასწარმეტყველებენ

მესტიაში, სოფელ ეცერში ჩატარებული სპეცოპერაციის გამოძიება დასკვნით ეტაპზე გადადის. აფრასიძეების საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში პროკურატურაში ორი დღეა, მოწმის სახით დაკითხვაზე იმყოფება გულუას სახელობის სპეცრაზმის ყოფილი ხელმძღვანელი ზურაბ ქაჯაია. მან გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე დეტალებზე არ ისაუბრა, თუმცა, აღნიშნა, რომ დაკითხვაზე გამოცხადებამდე უკრაინაში გამგზავრებას აპირებდა.

მესტიაში, სოფელ ეცერში სპეცოპერაცია 2004 წლის 24 მარტს ჩატარდა, შს მაშინდელი მინისტრის გიორგი ბარამიძის ხელმძღვანელობით. სპეცოპერაციის დროს მამა-შვილი ევგენი და ომეხ აფრასიძეები დაიღუპნენ. დაკავებულ ძმებს გოჩა და შმაგი აფრასიძეებს კი 19 და 17 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდეს, რომლებსაც ამნისტიით სასჯელი გაუნახევრდათ და 2013 წელს პატიმრობიდან გათავისუფლდნენ.

მთავარი პროკურორის მოადგილის ირაკლი შოთაძის განცხადებით, აფრასიძეების საქმეზე ინტენსიური საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეოს. შოთაძე ამბობს, რომ აფრასიძეების საქმესთან დაკავშირებით, გიორგი ბარამიძის დაკითხვის საჭიროება, ამ ეტაპზე, არ არსებობს. საერთოდ კი „გამოძიების საჭიროებიდან გამომდინარე, ნებისმიერი პირი დაიკითხება“.

ბარამიძის დაკითხვას და დაკავებას ითხოვს, აფრასიძების დედა დოდო აფრასიძე. for.ge-სთან საუბრისას დოდო აფრასიძე აცხადებს, რომ მისთვის უცნობია, რა ეტაპზეა გამოძიება, თუმცა, ამბობს, რომ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, დაახლოებით 6 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა მისი დაკითხვა პროკურატურაში. როგორც აფრასიძე ამბობს, მძინარეს ვეტმფრენების ხმაზე გაეღვიძა. სწორედ ამ დროს დაიწყო სროლა სახლის მიმართულებით. მისივე თქმით, ოჯახის უფროსი ევგენი აფრასიძე ხელებაწეული გავიდა აივანზე, პოლიციელებს მიმართა, სახლში ქალები და მცირეწლოვანი ბავშვები არიანო და ამ დროს სნაიპერის ტყვია მოხვდა.

„იმ მონეტში მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, რომ როგორმე ბავშვები გადამერჩინა. გოჩამ ბავშვები მეზობლის სახლში გაიყვანა. უკან რომ მობრუნდა, ჩემი მეუღლე, რომელიც დაჭრილი ეგდო აივანზე და სისხლისგან იცლებოდა, სახლში შემოიყვანა და ტახტზე დააწვინა. გიორგი ბარამიძემ გასცა სახლის დაწვის ბრძანება... ცოცხლად დაწვეს ჩემი მეუღლე, მისი დამწვარი ძვლები კარებთან ეყარა, ეტყობა გამოსვლას ცდილობდა და ახლა ამბობენ, თურმე ბარამიძე არ უნდა დაიკითხოსო! ომეხს ხელები შეუკრეს და ისე დახვრიტეს. ჩემი რძალი იმ სპეცოპერაციის შემდეგ ფსიქიკურად დაავადდა. წარმოუდგენელი სისასტიკით გაგვანადგურეს.

მეზობლები დაგიდასტურებენ, როგორ ეხვეწებოდნენ ბარამიძეს, ომეხის ცხედარი მოგვეცი გასაპატიოსნებლადო, მაგრამ სასტიკი უარი უთხრა. ყველაზე მეტად ბარამიძე აქტიურობდა. ის თუ არ უნდა დაკითხონ, აბა სხვა ვინ უნდა დაკითხოს პროკურატურამ? თუ ელოდებიან როდის გაიქცევა საქართველოდან! ბარამიძე იყო ამ ტრაგედიის თავი და თავი. გამორიცხულია, რომ ბარამიძე არ

დაიკითხოს“, — აცხადებს დოდო აფრასიძე.

აფრასიძეების ადვოკატის ირმა ჭკადუას განცხადებით, მისთვის უცნობია, რატომ ჩათვალა პროკურატურამ, რომ ამ საქმეზე გიორგი ბარამიძე არ დაკითხოს.

ყოფილი შს მინისტრი, ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, გიორგი ბარამიძე აცხადებს, რომ მისი თხოვნის მიუხედავად, აფრასიძეების საქმესთან დაკავშირებით არ დაკითხულა.

„დიდი ხანია, ვითხოვ ამ და სხვა საკითხებზე, პროკურატურას დავეკითხე, მაგრამ ორ წელიწადნახევარი გავიდა და არავის არაფერი უკითხვას ჩემთვის“, — განაცხადა გიორგი ბარამიძემ.

აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე საგანგებო ბრიფინგი გამართა ნაციონალური მოძრაობის წევრმა გივი თარგამაძემ, მისი თქმით, აფრასიძეების საქმეზე სპეცრაზმელებს გიორგი ბარამიძის წინააღმდეგ ჩვენების მიცემას აიძულებენ. სწორედ ამას უკავშირდება პროკურატურაში გულუას სახელობის სპეცრაზმის ყოფილი ხელმძღვანელის ზურაბ ქაჯაიას დაკითხვაზე დაბარება.

„ასეთი ჩვენების მიღება არის მხოლოდ და მხოლოდ ივანიშვილის სურვილი. არსებობს ალბათობა, რომ ზურაბ ქაჯაია, რომელიც გორგასლის სხვადასხვა ხარისხის ორდენის მფლობელი, დღეს დაკავონ იმისათვის, რომ უკვე შემდგომში, გლდანის მე-8 იზოლატორში მისგან ზეწოლის გზით მიიღონ სასურველი ჩვენება. კატეგორიულად ვურჩევთ ხელისუფლებას, ხელი აიღონ ასეთ ქმედებებზე, შეწყვიტონ სპეცრაზმელების დევნა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ჩვენის მხრივ მივმართავთ ყველა შესაძლო ფორმას კანონიერ ფარგლებში პროტესტისა და ეს პროცესი გამოიღებს ძალიან მძიმე შედეგებს“, — იმუქრება გივი თარგამაძე.

აღსანიშნავია ისიც, რომ აფრასიძეების განადგურების ბრძანების გაცემა დაადასტურა თვით საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა.

„მე მინდა, დავადასტურო, რომ მე გავეცი მესტიას დაპატრონებული ბანდიტების განადგურების ბრძანება, ერთი წამით არ ვნანობ, ეს იყო აფრასიძეების ბანდა, რომელიც აკონტროლებდა მთელ სვანეთს და რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა დროიდან გამაგრებული იყო მაღალ კოშკში. ჩემი ბრძანებით, ვეტმფრენებიდან გახსნილი იქნა ცეცხლი, მათ შორის რაკეტებით“, — აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

მიუხედავად სააკაშვილის ამ აღიარებისა, პროკურატურა არ ჩქარობს, ყოფილი პრეზიდენტისთვის ბრალის წარდგენას.

შეგახენებთ, რომ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულთა ჩამდენი პირების, ასევე ძებნაში მყოფ ბრალდებულთა ადგილ-სამყოფელის დადგენა-დაკავების მიზნით, 2004 წლის 24 მარტს, დილის 7.30 საათზე, შსს-ს გია გულუას სპეციალური დანიშნულების რაზმმა, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს და უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებმა, ერთობლივი ანტიკრიმინალური ოპერაცია ჩაატარეს. სპეცოპერაციაში მონაწილეობა მიიღო შს და უშიშროების სამინისტროების რამდენიმე ასეულმა თანამშრომელმა, მათ 12 ვერტმფრენით(!!!) განახორციელეს აფრასიძეების ოჯახზე თავდასხმა.

თამთა ქარჩავა

◎ ალიან-ჩალიანი

სოფლის მეურნეობის სამინისტრო და IFAD-ი ერთობლივ პროექტს იწყებენ

სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD) და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო ახალ პროექტს „სოფლის მეურნეობის მოდერნიზაცია , ბაზრებზე წვდომა და მოქნილობა“ (AMMAR) იწყებს. პროექტის პრეზენტაცია სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ გაიმართა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, პრეზენტაციას, რომელსაც საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, დონორი და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ფერმერები და აგრარული დარგის მეწარმეები ესწრებოდნენ, სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ გახსნა.

ახალი პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოში სოფლის მოსახლეობის შემოსავლეობის ზრდას და, შესაბამისად, სიღარიბის დაძლევას.

პროექტის ძირითადი მიმართულებები სოფლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ძირითადი შიდა საირიგაციო სისტემების რეაბილიტაცია, კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა და სოფლის მეურნეობის შესაბამისი პროდუქციის წარმოება/გადამუშავება/რეალიზაციის ჯაჭვის განვითარებაა.

მინისტრმა მადლობა გადაუხადა IFAD-ის საქართველოს პროგრამების ხელმძღვანელს დინა ნაბიილს იმ ძალისხმევისთვის, რომლის შედეგადაც საქართველოში არაერთი უმნიშვნელოვანესი პროექტი ხორციელდება.

ინტერპრესი

ᲡᲪᲘᲚᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲘᲑᲓᲐᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ

ᲗᲣ ᲔᲡ 500 ᲙᲐᲪᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ, ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲐ ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენებში ბარაკ ობამას როლი და რა ვითარება შეიქმნება საქართველოში ისლამისტთა რიგებიდან გაწბილებული პანკისელი ახალგაზრდების დაბრუნების შემთხვევაში?! ამის შესახებ გვესაუბრება ექსპერტი ახლო აღმოსავლეთის საკითხებში ᲡᲝᲡᲝ ᲖᲐᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

— ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲓᲐ ინფორმაცია, რომ ე.წ. ისლამურმა სახელმწიფომ და რადიკალურ მოძრაობა — თალიბანმა ერთმანეთს ჯიჰადი გამოუცხადეს, რადგან ისლამური სახელმწიფოს ლიდერმა აბუ ბაქრ ალ-ბაღდადმა თალიბანის ლიდერს — მულა მუჰამედ ომარს „სულელი“ და „უვიცი სარდალი“ უწოდა. რამდენად დამაჯერებელია ავღანეთის ხელისუფლების მიერ გავრცელებული ეს ინფორმაცია?

— საერთაშორისო თანამეგობრობა შეცდომაშია შეყვანილი, თითქოს არსებობს დაპირისპირება ამ ორ ძალას შორის. სინამდვილეში, არანაირი დაპირისპირება ისლამურ ჯიჰადსა და ხალიფატს შორის არ არის. უბრალოდ, ეს ორი ძალა ეჯიბრება ერთმანეთს ისლამურ სამყაროში ჰეგემონიისთვის. ასეთ განცხადებებს აკეთებდნენ ჯერ კიდევ ჩეჩნეთის ომის დროს, როდესაც თითქოს, შამილ ბასაევი უპირისპირდებოდა ჯოხარ დუდაევს, შემდეგ თითქოს, ისევ შამილ ბასაევი უპირისპირდებოდა ასლან მასხადოვს. ამას შეცდომაში შეჰყავს დასავლეთი და კოალიციის პარტნიორები.

სინამდვილეში, არაფერი არ შეიცვლება, ტერორისტულ მოქმედებებს ეს ორივე ორგანიზაცია გააგრძელებს დასავლურ სამყაროს ქრისტიანების წინააღმდეგ. მაგრამ ყველაზე საშინელი ჩემთვის ის ფაქტია, რომ ისლამური ხალიფატის რიგებში, ჩვენდა სამწუხაროდ, აღმოჩნდნენ საქართველოს მოქალაქეები, მათ შორის, არამუსლიმი ქართველებიც, როგორც ეს სულ ახლახან გაირკვა. ვგულისხმობ სულ ახლახან უკრაინაში გარდაცვლილ მებრძოლს, რომელსაც თავდაცვის სამინისტრო გმირად მოიხსენიებს. ეს უფრო დიდი საფრთხეა საქართველოსთვის, რომ ქართველები მონაწილეობას იღებენ ისლამური სახელმწიფოს კონფლიქტში სირიასა და ერაყში.

— ისლამური სახელმწიფოს რიგებში პანკისელი ახალგაზრდების, მათ შორის, ბავშვების გადინება სამომავლოდ უფრო დიდი პრობლემა გახდება საქართველოსთვის, თუ მათი დაბრუნება? მათი სამშობლოში დაბრუნება აპრიორი ტერორისტულ აქტებს ნიშნავს საქართველოსთვის?

—მე ვფიქრობ, რომ ეს ადამიანები ვერცერთ შემთხვევაში ვერ განაგრძობენ ჩვეულებრივ ცხოვრებას. ყველამ კარგად ვიცით, რა დანაშაულებს სჩადის ე.წ. ისლამური სახელმწიფო სირია-ერაყის ტერიტორიაზე. დიდი შანსია, რომ საქართველოს მოქალაქეებიც იღებდნენ ამ დანაშაულში მონაწილეობას. აქედან გამომდინარე, ეს, ყველა შემთხვევაში, მათ ფსიქიკაზე მოქმედებს და ეს ადამიანები ნორმალურები ვერ დაბრუნდებიან საქართველოში. როდესაც ადამიანი ასეთი დანაშაულის თანამონაწილე ხდება, ის უკვე ცდილობს, თავისი თავის გამართლება მოძებნოს. ეს ნიშნავს, რომ ის გააგრძელებს ასეთ მოქმედებას საქართველოს ტერიტორიაზეც.

ჩვენთვის ყველაზე საშიშია, თუ გამოცხადდება ახალი ჯიჰადი რუსეთის ტერიტორიაზე, რადგან ვლადიმერ პუტინმა ორი კვირის წინთ ღიად განაცხადა, რომ რუსეთისთვის ერთადერთ საფრთხეს ჯერჯერობით წარმოადგენს ისლამური სახელმწიფო და ის ტერორისტული ორგანიზაციები, რომლებიც მოქმედებენ სირიასა და ერაყის ტერიტორიაზე. როდესაც მებრძოლები საქართველოდან გადიან თურქეთში და შემდეგ გადადიან ერაყში საბრძოლველად, არსებობს შანსი, რომ ეს მებრძოლები დაიწყებენ დისლოკაციის ადგილზე დაბრუნებას. პუტინმა გააკეთა განცხადება, რომ ამ შემთხვევაში, რუსეთი დაიცავს თავის ინტერესებს. რუსეთი როგორც იცავს თავის ინტერესებს, ეს ყველამ კარგად იცის. დავუმატოთ ამას, რომ საქართველოს მოქალაქე, არამუსლიმანი, ქრისტიანი, რომელიც სააკაშვილის დროს თავდაცვის სამინისტროს მოქმედ რიგებში ირიცხებოდა და უკრაინის ბრძოლებშიც იღებდა მონაწილეობას (სადაც ის მოკლეს), თავის ინტერვიუში აცხადებდა, რომ იღებდა მონაწილეობას სირიაში. ამიტომ საინტერესოა, რომელ ფორმირებაში იმყოფებოდა, რა დანაშაული ჰქონდა ჩადენილი სირიაში, იყო თუ არა ეს დანაშაული ადამიანების წინააღმდეგ მიმართული. ჩვენ ეს არ ვიცით. ᲩᲕᲔᲜᲓᲐ ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲖᲔ ᲘᲦᲔᲑᲡ ᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲤᲚᲐᲕᲔᲑᲐᲡ, ᲘᲛᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲜᲐᲘᲠᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲐᲪᲮᲐᲓᲝᲡ ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲝᲓ. ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲞᲠᲔᲛᲘᲐᲪ ᲛᲘᲡᲪᲔᲜ ᲛᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲡ, ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ ᲡᲘᲠᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲠᲐᲧᲨᲘ ᲐᲛᲧᲝᲤᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ.

— თუკი 6-დან 9 წლამდე პატიმრობით დაისჯება უცხო სახელმწიფოში გამგზავრება ტერორისტული საქმიანობის განხორციელების მიზნით, გახდება კი ეს შემაკავებელი ფაქტორი ცალკეული პანკისელისთვის, რომელიც ამბობს, რომ საქართველოს ციხეში ჯდომას ურჩევნია ისლამური სახელმწიფოს რიგებში ბრძოლა?

— იბრძოლონ და ამას მათი დაღუპვა მოჰყვება.

— მაგრამ პარალელურად ამას ასირიელებისა და სხვების მასობრივი ხოცვა მოჰყვება. ამდენად, გამოსავალს ხედავთ საქართველოს კანონმდებლობის გამკაცრებაში?

— ჩვენ ხომ საქართველოს ინტერესებიდან უნდა ამოვიდეთ. საქართველოს ინტერესებში არის, რომ ეს ადამიანები არ დაბრუნდნენ საქართველოში. ამისთვის საქართველომ უნდა მიმართოს ყველა ძალ-ღონეს, დაწყებული დაზვერვითი ინფორმაციის გაცვლით. იქ არ არის მარტო ისლამური სახელმწიფო, იქ არის „ალ ქაიდა“ და სხვა ორგანიზაციები. ამიტომ ამ ორგანიზაციის წევრებზე, ვინც საქართველოდანაა გასული, უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია კოალიციას, თუ შესაძლებელია, მათი ადგილმდებარეობის, მათი კონტაქტების, მათი ნათესავების შესახებაც ვაცნობოთ. უნდა შეიზღუდოს მათი ნათესავებისთვის სახელმწიფო დახმარების, პენსიების გაცემა, როგორც ეს ბელგიამ გააკეთა. ᲣᲨᲣᲐᲚᲝᲓ ᲐᲛ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ ᲬᲐᲡᲣᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲓᲜᲔᲜ ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲝᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ, ᲛᲐᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲩᲐᲛᲝᲔᲠᲗᲕᲐᲗ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲰᲥᲝᲜᲓᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ.

— მაგრამ უფრო აგრესიულები რომ გახდნენ ამით?

— უფრო აგრესიული შეიძლება გახდეს 300, 500 თუ 1000 კაცი, მაგრამ, თუ ეს 500 კაცი დაბრუნდება საქართველოში, რუსეთის არმია კიდევ უფრო მეტად აგრესიული გახდება საქართველოს მიმართ. ასე რომ, ჩვენ ახლა ვართ სცილასა და ქარიბდას შორის, ჩვენ უნდა ავირჩიოთ, რუსეთმა მოახდინოს საქართველოს მთლიანი ოკუპაცია, თუ ბრძოლა გამოვუცხადოთ თუნდაც 55 ათას ტერორისტს, რომელსაც მთელი მსოფლიო ებრძვის.

— რადიკალი ისლამისტების მობილიზებაში დიდი ძალა აქვს ინტერნეტს, თუმცა ზოგიერთები იმასაც ამბობენ, რომ ინტერნეტი აქ არაფერ შუაშია და აქ მთავარია სალაფისტური იდეები, სასწავლებლად წასული ვაჰაბიტი სტუდენტების კავკასიაში დაბრუნება. თარხან ბათირაშვილის მამა ამბობს, რომ მისი მატერიალური მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა, რაც მისი შვილი ისლამისტთა რიგებში წავიდა. უფრო მეტიც, ისლამისტებს ჩინეთიდანაც კი უერთდებიან მუსლიმანური აღმსარებლობის ადამიანები, მათ შორის, ქალებიც. რა იწვევს ისლამისტებთან მასობრივ გადინებას მსოფლიოს 25 ქვეყნიდან და რა აბრკოლებს დასავლურ სამყაროს?

— პირდაპირ შემიძლია, გითხრათ, რომ დასავლურ სამყაროს აბრკოლებს ბარაკ ჰუსეინ ობამას არასწორი საგარეო პოლიტიკა, რომელიც წარმართა პრეზიდენტად მეორედ არჩევის შემდეგ, რაც მას მიანიჭეს ნობელის პრემია შეუსრულებელი დაპირებების გამო. მოგეხსენებათ, 2012 წელს არჩევნებამდე ბარაკ ობამამ დაპირება დადო, რომ შეძლებდა პალესტინისა და ისრაელის შერიგებას. ამის გამო მიანიჭეს ნობელის პრემია. თუმცა, მან ეს ვერ შეძლო. ამის შემდეგ ობამამ სახელმწიფო დეპარტამენტის სახსრების გამოყენებით შეძლო, განეხორციელებინა რამდენიმე ქვეყანაში სახელმწიფო გადატრიალება — ლიბია, ტუნისი, ეგვიპტე... სწორედ ამერიკის მხარდაჭერით ხორციელდებოდა გადატრიალებები. ტერორისტი მუჰამედ მურსი გახდა ეგვიპტის პრეზიდენტი, შემდეგ სამხედროებმა შეძლეს მისი ჩანაცვლება და მუჰამედ მურსი ახლა დაკავებულია სახელმწიფოს ღალატის ბრალდებით, იგი ტერორისტულ ორგანიზაცია „ჰამასთან“ კავშირის გამოა გასამართლებული. ბარაკ ობამა პირდაპირ უჭერდა მხარს სირიაში ტერორისტული „ალ ქაიდას“ მომხრეებს, აფინანსებდა მათ და ამას წერენ კიდეც აშშ-ში. ამერიკის კონსერვატორები პირდაპირ ადანაშაულებენ აშშ-ის პრეზიდენტს აგრესიული ისლამის მხარდაჭერაში ახლო აღმოსავლეთში, ისევე, როგორც ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ ადანაშაულებს ობამას. ამიტომ მსოფლიოს სხვა ქვეყნების ლიდერებმა ვერ გაიგეს, რა ხდება მსოფლიოში, ბოლოს და ბოლოს, ისლამური სახელმწიფო თუკი ამერიკელების საქმეს აკეთებს, კარგები არიან თუ ცუდები? ეს არის მიზეზი, რის გამოც ვერ მოხერხდა ერთიანი პოზიციის ჩამოყალიბება ისლამისტების წინააღმდეგ. ისლამისტები რომ ხალხს ხოცავენ, ეს გასაგებია. ისიც გასაგებია, რომ ბაშარ ასადი ცუდი ადამიანია, მაგრამ რომელი სჯობს, ტერორისტი მურსი ეგვიპტის პრეზიდენტად თუ ბაშარ ალ ასადი, რომელთანაც შეიძლებოდა საერთო ენის გამონახვა?!

— ამ შემთხვევაში, რა იყო აშშ-ის ინტერესი? ამერიკის ნაცვლად, სიტყვაზე, თურქეთი რომ ყოფილიყო, ეს კიდევ გასაგები იქნებოდა. თურქეთი მაინც სუნიტური სახელმწიფოა და მას აქვს ოსმალეთის იმპერიის აღდგენის ამბიცია. ის, რომ ისლამური ხალიფატი თურქეთის წინააღმდეგ არ მიმართავს ძალებს, თურქეთისთვის ეს სიმშვიდის ფაქტორია და თურქეთი აქტიურად არ ერევა ანტიისლამისტთა კამპანიაში.

— თურქეთი მხარს უჭერს ისლამურ ხალიფატს სირიის პრეზიდენტ ბაშარ ალ ასადის წინააღმდეგ ბრძოლაში. სწორედ თურქეთის საჰაერო თავდაცვის საშუალებები ეხმარებოდნენ მოჯაჰედებს სირიაში ომის დროს, რადგან ბაშარ ასადი უხვად იყენებდა ავიაციას. თურქები ავარჯიშებდნენ ასადის მოწინააღმდეგეებს. თურქეთშია საამისო საწვრთნელი ბაზები გახსნილი. სწორედ თურქეთია ის დისლოკაციის ადგილი, სადაც უკრაინაში დაღუპული ე.წ. ქართველი გმირი გადიოდა წვრთნებს და ის ღიად წერდა, რომ თურქეთში გადავიდა, იქ მოემზადა და შემდეგ წავიდა სირიაში. თუ ისლამისტები გამოიწვევენ თურქეთში და ერდოღანის გადაგდება მოუნდებათ, რა თქმა უნდა, ერდოღანი მათი წინააღმდეგი იქნება, მაგრამ ახლა ამის საფრთხე არ არის. რაც შეეხება აშშ-ის ინტერესს, მათი ინტერესი მარტივია. როდესაც ბარაკ ობამამ გამოაცხადა, რომ ის შეარიგებდა ბენიამინ ნეთანიაჰუს და მაჰმუდ აბასს, ნეთანიაჰუმ ამაზე უარი განაცხადა, არც 67 წლის საზღვრებში სურდა დაბრუნება და იერუსალიმის გაყოფა. ამით განაწყენებულმა ობამამ დაიწყო აგრესიული რეჟიმების მოყვანა ისრაელის საზღვრებთან. ესაა ერთ-ერთი მიზეზი, რომ ირანთან სანქციების მოხსნას აპირებს ობამა. აქედან გამომდინარე, როდესაც ისლამური სარტყელი მთლიანად შემოეკვრებოდა ისრაელს, ისრაელი იძულებული გახდებოდა, არაბებთან დათმობაზე წასულიყო, მაგრამ ასე არ მოხდა.

ახლა იორდანელი პილოტი რომ დაწვეს ისლამისტებმა, შეგახსენებთ, იორდანიის მეფე მუჰამედ წინასწარმეტყველის შორეულ ნათესავად ითვლება, იორდანია არ არის აგრესიული ისლამის მიმდევარი, მეტიც, ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს იორდანიას ისრაელთან იმ დონეზე, რომ დაზვერვით ინფორმაციას აწვდის. ამ დროს იორდანიაშიც კი აპირებდნენ ხელისუფლების შეცვლას, მაგრამ იორდანიის მეფემ შეძლო ხელისუფლების ხელში დაჭერა. ასე რომ, ეს სიტუაცია აშშ-ის შექმნილია, ᲐᲛᲐᲡ ᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲡ ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲘ ᲤᲝᲢᲝᲛᲐᲡᲐᲚᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲯᲝᲜ ᲛᲐᲙᲙᲔᲘᲜᲘ, ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲚᲝᲑᲘᲡᲢᲘ, ᲒᲐᲓᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ „ᲐᲚ ᲥᲐᲘᲓᲐᲡ“ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲗᲐᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲩᲐᲣᲢᲐᲜᲐ ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲘᲐᲠᲐᲦᲘ ᲡᲘᲠᲘᲐᲨᲘ. ᲐᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲤᲝᲢᲝᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢᲨᲘ, ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛᲐᲡ ᲣᲧᲔᲜᲔᲑᲔᲜ ᲛᲐᲙᲙᲔᲘᲜᲡ ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲐᲓ. ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲝᲛᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ, ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲡᲣᲠᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲗ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲙᲝᲠᲞᲝᲠᲐᲪᲘᲣᲚ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲡ ᲐᲢᲐᲠᲔᲑᲡ.

— საქართველოსთვის საშიშროებიდან გამომდინარე, ბევრი არც ემხრობა დევნილი ასირიელების ექსპორტს ჩვენს ქვეყანაში. როგორ ფიქრობთ, მოსალოდნელია საქართველოში სუნიტებისა და ვაჰაბიტების დაპირისპირების ინსპირირება?

— ამის არანაირ წინაპირობას არ ვხედავ, რადგან საქართველოში სუნიტური ისლამი არ არის ისეთი ძლიერი, რომ ვინმეს დაუპირისპირდეს. თანაც, ესენი არც არიან ვაჰაბიტები, ესენი არიან სალაფისტები, რომლებიც თვლიან, რომ მუსლიმანმა უნდა იცხოვროს მუჰამედის მიერ დაწერილი წესებით. ამიტომაცაა ასეთი აგრესია, თავის მოჭრა და სხვა. 500 ფეხმძიმე ქალი ორმოში ჩაყარეს და ცოცხლად დამარხეს და მე არ მინახავს საქართველოს მუსლიმანთა ასოციაციის განცხადება იმის შესახებ, თუ რა საშინელებას აკეთებენ ისლამის სახელით.

საქართველოში რთულ პროცესებს ველი, როდესაც კოალიციაში მიიღებენ გადაწყვეტილებას, სერიოზული დარტყმა მიაყენონ ისლამისტებს, ისინი აუცილებლად დაიწყებენ გადაადგილებას დისლოკაციის ადგილებზე. ბევრი მათგანი პანკისის ხეობიდანაა, დაბრუნდება საქართველოში და ამას აუცილებლად მოჰყვება აგრესია რუსეთისგან. როდესაც რუსები დაიწყებენ საქართველოში გარკვეული ოპერაციების ჩატარებას, ამას მოჰყვება „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან წივილ-კივილი, აი, საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთის შემოსვლა დაუშვაო.

ერთი სიტყვით, დიდი ჭკუა-გონების მოკრება გვმართებს. ფრთხილად უნდა ვიყოთ.

ესაუბრა
ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲜᲝᲖᲐᲫᲔ

ავთანდილ კვეზერელი-კოპაძე – ქართული პედიატრიის სინდის-ნამუსი

როცა ღირსეულ პიროვნებას იუბილეს მიულოცავენ, უპირველესად, იმის თანამდებობებს, წოდებებს, ჯილდოებს (ქარაგმულად ჩინ-მედლებს რომ ეძახიან!) მოიშველიებენ და ჰგონიათ, რომ ამით საზოგადოებასაც ასიამოვნეს და თვით იუბილარსაც... არადა, ხშირად სულაც არ არის ასე. დღეს „საქართველოს რესპუბლიკის“ გონიერ მკითხველს თბილისსა და ქუთაისში, ბათუმსა და სოხუმში, დედოფლისწყაროსა და მესტიაში, ერთი სიტყვით, სრულიად საქართველოში, კიდევ ერთხელ უნდა წარვუდგინოთ ექიმი კაცი, განუმეორებელი პედიატრი ავთანდილ კვეზერელი-კოპაძე, რომელსაც არასოდეს წოდებებისა და ჯილდოებისთვის, მით უფრო თანამდებობისთვის არ უზრუნია.

უბრალოდ, ექიმი ავთანდილ კვეზერელი-კოპაძე.

ხუთი წლის წინათაც, ლამის გავათენე ღამე (გაზაფხულის ღამის სიმშვიდეში თვალადურ სიტყვებს ვეძებდი), რომ ჩემი შვილების სულისა და ხორცის მკურნალს ჯეროვნად მოვფერებოდი და 85 წლის იუბილე მიმელოცა, მაგრამ, ისე რა, ბევრი არაფერი გამომივიდა.

მართალია, ქართულ ენას უმდიდრესი ლექსიკა აქვს, მაგრამ, არა მგონია, ვინმეს იმის ბადალი მხატვრული შედარებანი მოეძიოს, ავთანდილ კვეზერელი-კოპაძის კაცობას, პროფესიონალიზმს, სნეული ბავშვების გადარჩენით და მშობლების გაღიმებით გამოწვეულ სიხარულს რომ შეშვენის.

ავთანდილ კვეზერელი-კოპაძე მთლიანი, მზესავით ნათელი, არისტოკრატიული, დარბაისელი, უფლის რჩეული პიროვნებაა. ის მუდამ ასეთი იყო. გადამდები, მისაბაძი მხნეობა აქვს. სიბერეს არ ეპუება. თაყვანს სცემს ოჯახს, საკუთარ გვარიშვილობას, ტრადიციებს. ჰყავს დიდი სამეგობრო და სანათესაო. ის ურღვევი კედელივით უდგას ამ ოჯახს და სანათესაოს და საკუთარი წარსულით, საკუთარი დღევანდელობით, დიდი ავტორიტეტით იცავს მათ.

1949 წელს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის დამთავრებისთანავე, ავთანდილ კვეზერელი-კოპაძე სოხუმში გაგზავნეს სამუშაოდ. აქ ის ჩვილ ბავშვთა სახლის პედიატრად, ხოლო მოსკოვის სამედიცინო აკადემიის პედიატრიის ინსტიტუტის კლინიკური ორდინატურის დამთავრების შემდეგ, ოთხი წელიწადი მუშაობდა აფხაზეთის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარ პედიატრად. 1960 წელს გადმოიყვანეს საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ახლად დაარსებულ პედიატრიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში სწავლულ მდივნად, ხოლო შემდეგ დირექტორის მოადგილე გახდა სამეცნიერო დარგში. 1966 წლიდან, არც მეტი, არც ნაკლები, 45 წელიწადი ხელმძღვანელობდა ინსტიტუტის ბავშვთა ჰემატოლოგიურ განყოფილებას.

ეს ის 45 წელიწადია, როცა ავთანდილ კვეზერელი-კოპაძე სრული დატვირთვით მუშაობდა და დღესა და ღამეს ათენებდა ჩვენი პატარების ჯანმრთელობის გასაკაჟებლად.

ერთი ცხოვრებისეული დეტალი: კოლეგები ეკითხებიან ბატონ ავთანდილს, ამ შაბათ-კვირას ხომ დაისვენეთ, ძალიან გადაღლილი იყავითო!..

— კი, ამ შაბათ-კვირას 105 ბავშვი გავსინჯე და ახლა იმათ ხვალინდელ დღეზე ვფიქრობო!..

ასეთი გოლგოთური შრომა უწევდა თითქმის ყოველდღე.

საქართველოში ძნელად თუ მოიძებნება ექიმი, რომელიც ამდენი ავადმყოფის მიღება-გასინჯვას და დანიშნულების მიცემას (რეცეპტის გამოწერის ჩათვლით) გაუძლებდა.

სიკეთე, ცოდნა, მაღალი პროფესიონალიზმი და ათეულათასობით გადარჩენილი ბავშვის მომავალი ბედნიერება აკაჟებდა შრომით გადაღლილი ექიმის გულს. ამიტომაც არის 90 წლის ავთანდილ კვეზერელი-კოპაძე რწმენით, იმედით და კაცური ენერგიით სავსე, დღესაც ყოველდღიურად დადის (საჭესთანაც თვითონ ზის!) მისი კოლეგა-მეგობრის, ი. ციციშვილის სახელობის ბავშვთა ახალ კლინიკაში და ფასდაუდებელ კონსულტაციას უწევს პედიატრთა უმცროს თაობებს.

ავთანდილ კვეზერელი-კოპაძე დიდხანს იყო საქართველოს პედიატრთა ასოციაციის პრეზიდენტი, ახლა საპატიო პრეზიდენტია.

გამოქვეყნებული აქვს 170-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი და 4 მონოგრაფია. მისი ნაწერები არა ჰგავს უცხო სიტყვებით გადავსებულ ტვინის საჭყლეტ „ფილოსოფიას“. მეტყველებს და წერს სადად და უზადოდ! ერთი სიამოვნებაა მეგობრებთან მისი პაექრობა ნარდსა და ჭადრაკში. ეტრფის სპორტს. სტუდენტობის ხანაში საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების წევრი იყო და ქვეყნის ჩემპიონის ტიტულსაც ფლობდა.....

„მტკიცე ოჯახი (მისი მეუღლე ელენე მანჯგალაძე ასევე ცნობილი ექიმი-პედიატრია), ჯანსაღი შთამომავლობა, მეგობრები, ურიცხვი მადლიერი პაციენტი, იმათი მშობლები... ღვთის მადლით, ჩემი შექმნილია“, — ასე მითხრა ამ ხუთიოდე წლის წინათ ამ უსაყვარლესმა პიროვნებამ, ექიმისა და კაცობის მეტრმა, მედიცინაში თითქმის შეუმცდარმა კაცმა.

ის დღესაც ხშირად იმეორებს, — მედიცინაში არ შეიძლება შეცდომა გაგეპაროს, რადგანაც ის ადამიანის ბედთან არის დაკავშირებული!

მისი კოლეგები კი ერთხმად გვიდასტურებენ: ბავშვთა ექიმი სწორედ ისეთი უნდა იყოს, როგორიც ავთანდილ კვეზერელი-კოპაძეა, ბატონი ავთანდილი ნამდვილი ეტალონია....

ყოველივე ამის შემდეგ, ბუნებრივია, რომ ბატონ ავთანდილს, უბრალოდ, კარგი ექიმის სახელის გარდა, არავითარი ჩინ-მედლები არ აინტერესებს, მაგრამ... მკითხველს მაინც უნდა შევახსენო, რომ პროფესორი და მრავალი დარგობრივი აკადემიის აკადემიკოსი ავთანდილ კვეზერელი-კოპაძე თბილისის საპატიო მოქალაქისა და „მედიცინის რაინდის“ შესანატრი წოდებების მფლობელია.

სამაგალითო ქართველი, საუკუნის ცხრა ათწლეულის მომთვინიერებელი კაცი ნამდვილად არის დიდი მეოცესაუკუნელი და ეპოქის რაინდი!..

მხნეობას გისურვებთ, ბატონო ავთანდილ, 100 (ასი!) წელიწადიც კარზე მოგდგომიათ!..

საუკუნე, ვითარცა წუთისოფელი, თქვენგან განკურნებული უმანკო ბავშვების ღიმილში გაგეცვითოთ!

სპარტაკ ქოგულია

მეუღლე ელენე მანჯგალაძესთან ერთად

ქალიშვილებთან, მარინე და მაიკო კვეზერელი-კოპაძეებთან ერთად

◎ კაკალ გულში

წერილოვანი თქმანები

● **არსენა ოძელაშვილს, კაცს, რომელმაც მთელი ცხოვრების განმავლობაში მხოლოდ 700 თუმნის გადანახვა შეძლო კასპის ოფშორულ ზონაში, ყაჩაღს ეძახდნენ, ახლა კი, ზოგიერთებს (გვარებს არ დავასახელებ), ბიზნესმენები და პოლიტიკოსები ჰქვიათ.**

● **ნაციონალების შექმნილი ანტიკორუფციული საბჭო მარტო მე მესასაცილოვება თუ თქვენც იხოცებით სიცილით?**

● **ნაციონალებს** C ჰეპატიტის უფასო პროგრამა რო დაეფინანსებინათ, მიშა წითელლენტიან ღვიძლებს გაჭრიდა.

● **მაშინ რესპუბლიკა მაინც გვერქვა. ახლა კოლონია ვართ.**

● **მეფე ერეკლეს „ავი მუსაიფი“, მისი ხმალი იყო.**

პრეზიდენტ მარგველაშვილისა, — ფხალაძე და კოჟორიძე.

● **ოპონენტებიც შეძლებულები არიან. კვერცხებს ქათმები, კანფეტებიც ამატონ და ხალხიც მივა.**

● **მეტი პრობლემა არაა ქვეყანაში, ის რო არ ვარჩიოთ, მარგველა სად გადავა და სად არა?...**

● **ქალი საჭესთან იგივეა, რაც ვარსკვლავი ცაზე: შენ ხედავ, მაგრამ ის ვერ გხედავს.**

● **კვერცხების სროლის სასტიკი წინააღმდეგი ვარ, შენობა ისვრება. მიკიჩა რეზინის ტყვიებს რომ იყენებდა, სულელი კი არ იყო? გაუადვილეთ დამლაგებლებს შრომა, ხალხი არა ხართ, გურჯაანელებო?**

● **ზოგიერთი უპასუხისმგებლო საჯარო უწყების, სამინისტროების გასაგონად!!!!!**

● **იმ შემთხვევაშიც კი, თუკი მოთხოვნილი ინფორმაცია საიტზე გაქვთ განთავსებული (და ამ შემთხვევაში ეს ასე არაა!!!), თქვენ ვალდებულები ხართ, რომ წერილობითი პასუხი მომაწოდოთ ჩემს წერილობით მოთხოვნილ ინფორმაციაზე!!!**

● **უკვე ძალიან ყელში ამოხვედით თქვენი უსაქმურობით, პლუს ტყუილებით! ომი გინდათ და იყოს ომი:) სულ არ მეზარება!**

● **სადღაც თვალი მოვკარი პრემიერის კომენტარს, პრეზიდენტის თავმოყვარეობა არ უნდა შეილახოსო (სასახლესთან დაკავშირებით).**

გავიფიქრე, ეს თუ იმის შეუთანხმებლად არის ნათქვამი, საღამოს ყური აეწევა-მეთქი და წარმოვიდგინე კადრი „ბრილიანტის ხელიდან“ — შეფისგან ყურაწეული მირონოვი. ეგ კიდევ არაფერი, მერე შეფიც გამახსენდა და იმაზე ვიცინე. ის შეფი ამ შეფს რა მაგრად ჰგავს!

ამოკრიბა

გია გაბრიჭიძემ

◎ ალიან-ჩალიანი

უკრაინაში დაახლოებით 100 ქართველი იბრძვის

ამის შესახებ ანგარიშს საერთაშორისო ურთიერთობათა პოლონური ინსტიტუტი აქვეყნებს. როგორც მკვლევარ კასპერ რენკავიკის მოხსენებაშია აღნიშნული, დაახლოებით იგივე რაოდენობის მებრძოლი ჩავიდა დონბასში საბრძოლველად გერმანიიდან, ბელარუსიდან და სერბეთიდან.

„ჩრდილოეთ ევროპელი, მაგალითად, შვედებისა და ფინელების, ასევე ბალტიისპირეთის რეგიონიდან ჩასული მებრძოლების მოტივაცია უკავშირდება მათ ისტორიულ კავშირებს უკრაინასთან და რუსეთთან. ეს ბრძოლა აღიქმება, როგორც ბრძოლა საერთო მტრის წინააღმდეგ. იგივე შეიძლება ითქვას ქართველებზე და ბელარუსებზე. ამ ქვეყნებიდან ჩასული ადამიანები უკრაინაში მათ ბრძოლას აღიქვამენ როგორც პოსტსაბჭოთა და პრორუსი პოლიტიკური რეჟიმების წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელებას“, — აღნიშნულია კასპერ რენკავიკის მოხსენებაში. თუმცა, ანგარიშის მიხედვით, აღმოსავლეთ უკრაინაში ჩასული უცხოელი მებრძოლების ნაწილი იბრძვის ასევე „ბოევიკების“ მხარეს.

ინტერპრესი

◎ დედაეკლესია

მეუფე ისაიას თანამედროვე გმირობა

ოკუპირებულ ცხინვალში, კონკრეტულად, ახალგორში მოქმედი ეკლესია-მონასტრების მოსალოცად გადასული ნიქოზისა და ცხინვალის მიტროპოლიტ ისაიას გაუჩინარების შემდეგ უკვე წელიწადზე მეტი გავიდა.

მთელი ამ ხნის მანძილზე მორწმუნეები წუხდნენ, რატომ ვერ ახერხებდა მათი მეუფე ნიქოზის საკათედრო ტაძარში წირვა-ლოცვის აღვლენას და რა მდგომარეობაში იმყოფებოდა იგი, ხომ არ ელოდა რაიმე საფრთხე, მით უმეტეს, ნიქოზელთა ნაწილი ეჭვობდა, რომ მეუფე რუსმა ჯარისკაცებმა დააკავეს და ცხინვალის ტერიტორიაზე გადაიყვანეს. ვითარებას ამძიმებდა ის ფაქტიც, რომ მეუფის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას არ ფლობდა საპატრიარქოც. რაც შეეხება ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიას, აქ მხოლოდ იმას აცხადებდნენ, რომ მეუფე ისაიას დროებითი პასპორტი ჰქონდა, კერძოდ, ფორმა ნომერი ცხრა, რომელსაც ვადა გაუვიდა, ამიტომაც ვერ ბრუნდებოდა, რადგან ახალი საშვის მიღებას ელოდა.

რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ოკუპირებული ახალგორის (ოკუპანტების ენაზე — ლენინგორის) რაიონის ტაძრებში ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმსახურები მსახურებას განაგრძობენ. ისინი ჩვენს მართლმადიდებელ ეკლესიას ემორჩილებიან და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ალანიის ეპარქიასთან არანაირი კავშირი არ აქვთ.

ნიქოზის მკვიდრი გელა კაპანაძე For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ ნიქოზ-ცხინვალის ეპარქიის ხელმძღვანელი მეუფე ისაია ახალგორში საკუთარი სურვილით შევიდა მხოლოდ და მხოლოდ ერთი მიზნით, ქართული მრევლის საპატრონოდ. საოკუპაციო რეჟიმის, ანუ ცხინვალის ე.წ. ხელისუფლების მხრიდან არაერთგზის მუქარისა და გაფრთხილების მიუხედავად, ის მაინც არ ტოვებს ადგილობრივ ტერიტორიას, პატრონობს ქართულ მრევლს და ქართულ მოსახლეობას.

„მოგეხსენებათ, საოკუპაციო რეჟიმი პერიოდულად ამკაცრებს ე.წ. საპასპორტო რეჟიმს, რაც ითვალისწინებს ვიზების გამოცვლას ახალგორის რაიონში. ეს ე.წ. ვიზა მეუფე ისაიას არა აქვს, ამიტომ მისი დატოვების შემთხვევაში, ვეღარ შებრუნდება უკან, ახალგორის ტერიტორიაზე. ამდენად, მან მიიღო გადაწყვეტილება, არ დატოვებინა ახალგორი. უფრო მეტიც, როგორც მისი მრევლი აცხადებს, მათ ჰქონდათ სატელეფონო საუბარი მეუფე ისაიასთან და მას სთხოვეს, დაბრუნებოდა ნიქოზ-ცხინვალის ეპარქიას, მაგრამ მეუფე ისაიას პირადი შეხედულებების გამო მიაჩნია, რომ მისი ადგილსამყოფელი არის სწორედ იმ ქართველებთან, რომლებიც ახლა ახალგორის რაიონში არიან დარჩენილნი“, — აღნიშნა გელა კაპანაძემ.

აღნიშულ ინფორმაციას For.ge-სთან საუბარში კათოლიკოს-პატრიარქის მდივანი მამა მიქაელ ბოტკოველიც ადასტურებს და მეუფე ისაიას თანამედროვე გმირად მოიხსენიებს.

„მეუფე ისაიას თანამედროვე გმირობა სწორედ ის არის, რომ თავისი მრევლის ერთგული რჩება და არ ტოვებს ახალგორის ტერიტორიას, რადგან ახალგორიდან გამოსვლის შემთხვევაში, მას უკან შებრუნების ნება იქაური კანონმდებლობით არ ექნება. არა მგონია, ახალგორის ტერიტორიაზე ყოფნა მეუფისთვის საფრთხის შემცველი იყოს, ის მონასტერშია და ძალიან კარგია, რომ, რთული ვითარების მიუხედავად, ქართველი მოსახლეობის ნაწილი მაინც ახერხებს ახალგორის ტერიტორიაზე დარჩენას“.

მანანა ნოზაძე

◎ სამოთხე ჯოჯოხეთს რომ არ დაემგავსოს

დედამიწის დღე — შევამციროთ ნარჩენები!

საქართველოში ნარჩენების მართვის ტექნოლოგიების განვითარების აუცილებლობა — ამ გზავნილით აღინიშნა თბილისში 22 აპრილი, დედამიწის დღე. ღონისძიება თბილისის ზოოპარკში გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ქსელისა და არასამთავრობო ორგანიზაცია „ეკოხედვის“ ორგანიზებით გაიმართა. აქციაზე საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან შეკრებილმა სკოლის მოსწავლეებმა ნარჩენების მდგრადი მართვისა და გარემოსდაცვის თემაზე შექმნილი პოსტერები და ნახატები გამოფინეს

იმისათვის, რომ უკეთ გამოეხატა თავისი სათქმელი ნარჩენების მართვის თაობაზე, 15 წლის გიორგი ორკოდაშვილმა ფერადი ურნები აალაპარაკა და მათი სიტყვები პლაკატად აქცია. აი, მაგალითად: „გამარჯობა, მე ლურჯი ურნა ვარ. ჩემი ყოველდღიური საკვებია ქაღალდი. მე წითელი ურნა ვარ. დაიმახსოვრე, პლასტმასის ადგილი მხოლოდ ჩემშია“. გიორგის პლაკატზე ყვითელი და მწვანე ურნებიც ლაპარაკობენ. მათთვის განკუთვნილი ნარჩენები მინის ბოთლები და ორგანული ნარჩენებია. თელავის პირველი საჯარო სკოლის მოსწავლე გიორგი დედამიწის დღისადმი მიძღვნილი იმ კონკურსის გამარჯვებულია, რომელიც საქართველოში ნარჩენების მართვის ტექნოლოგიების განვითარებას მიეძღვნა.

„ვფიქრობ, რომ აუცილებელია საქართველოშიც იყოს სეპარირებული ურნები იმისათვის, რომ დავახარისხოთ ნარჩენი. როგორც ადამიანს სჭირდება მეგობარი, ისე ურნას სჭირდება გვერდზე მდგომი ფერადი ურნები და თუკი საქართველოშიც დაიდგმება ურნები სხვადასხვა ტიპის ნარჩენებისთვის, ძალიან კარგი იქნება“, — ამბობს გიორგი ორკოდაშვილი.

საქართველოში ნარჩენების მართვის ტექნოლოგიების განვითარება — ეს არის წლევანდელი „დედამიწის დღის“ მთავარი გზავნილი. სწორედ ამ თემის მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე ლაპარაკობდნენ თბილისის ზოოპარკში შეკრებილი გარემოს დაცვის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები, ხელისუფლების წარმომადგენლები თუ საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სკოლების მოსწავლეები, რომლებმაც ნარჩენების მდგრადი მართვის თემაზე სლოგანები და პოსტერები გამოფინეს. კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის წარმომადგენელი ნინო შავგულიძე რადიო „თავისუფლებასთან“ საუბარში ამბობს, რომ საქართველო, ნარჩენების მართვის მიხედვით, ჯერ კიდევ ძალიან შორს დგას ევროკავშირის სტანდარტებისგან. ნარჩენის ხელმეორედ გამოყენება, შემცირება, სეპარაცია, გადამუშავება და ა.შ. — ეს ის თემებია, რომლებიც საქართველოს რეალობისთვის კვლავ მწვავე პრობლემაა. ნინო შავგულიძის თქმით, ამ მიმართულებით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაც.

ნარჩენი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ენერგიის აღდგენის წყაროდ, ენერგიის მიღების წყაროდ და ნარჩენი შეიძლება გადაიქცეს პროდუქტად, რომელიც საშუალებას მოგვცემს, რომ, ერთი მხრივ, გავუფრთხილდეთ ჩვენს გარემოს და, მეორე მხრივ, ვიყოთ უფრო მომჭირნეები ნებისმიერი რესურსის მიმართ...

ნარჩენების მართვის სფეროში შემუშავებულ კანონმდებლობას გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილე მაია ბითაძე ხელისუფლების მხრიდან წინგადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევს და ამბობს, რომ „ნარჩენების მართვის კოდექსი“, რომელიც მიმდინარე წლის 15 იანვრიდან ამოქმედდა, მნიშვნელოვან ფუნქციას შეასრულებს ამ მიმართულებით არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად. კოდექსის მთავარი მიზანია ნარჩენების მართვის სფეროში სამართლებრივი საფუძვლების შექმნა ისეთი ღონისძიებების დასანერგად, რომლებიც ხელს შეუწყობს ნარჩენების წარმოქმნის პრევენციას, ხელახალი გამოყენების ზრდას, ნარჩენების გარემოსთვის უსაფრთხო გზით დამუშავებას და მათ უსაფრთხო განთავსებას. მაია ბითაძის თქმით, გარდა იმისა, რომ „ნარჩენების მართვის კოდექსი“ ითვალისწინებს საქართველოში ნარჩენების მართვის თანამედროვე მიდგომებისა და ევროპული სტანდარტების დანერგვას, კანონმდებლობა ახალი სამუშაო ადგილების შექმნის საფუძველიც გახდება. რაც შეეხება უფრო კონკრეტულ ნაბიჯებს, მაია ბითაძის თქმით, **ამ დროისათვის საქართველოს მასშტაბით დაიხურა 12 ნაგავსაყრელი, რადგან ისინი ვერ აკმაყოფილებდნენ გარემოსდაცვით მოთხოვნებს. მისივე სიტყვებით, არსებული ნაგავსაყრელები ჩანაცვლდება ახალი ნაგავსაყრელებით, რომლებიც აბსოლუტურად მოერგება თანამედროვე ტექნოლოგიებსა და სტანდარტებს და დააკმაყოფილებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მოთხოვნებს. გარდა ამისა, თბილისის მერიამ მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამუშავებისა და ნარჩენების გადამმუშავებელი ქარხნების მშენებლობის უზრუნველსაყოფად ინვესტორთა წინადადებების მიღება დაიწყო. ამ მიზნით, 100 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების ინვესტიციის განხორციელებაა გათვალისწინებული.**

დედამიწის დღე, რომელსაც მსოფლიო წელს 45-ედ აღნიშნავს, 1969 წლიდან აღინიშნება. საქართველო ამ დღეს 26-ედ უერთდება. ყოველი წლის 22 აპრილს სხვადასხვა ღონისძიებაში 190-ზე მეტი ქვეყნის 20 ათასამდე ორგანიზაცია და მილიონობით მოხალისე მონაწილეობს.

ნინო თარხნიშვილი

◎ გვწერენ

ქუჩა და მისამართი

ჩვენთვის, მთაწმინდაზე მცხოვრები ნიაღვრის ქუჩის ბინადართათვის სრულიად შემთხვევით გახდა ცნობილი, რომ ქუჩისთვის, რომელსაც საუკუნეზე მეტია, ეს სახელი ჰქვია, ასახავს კიდევაც მის ადგილმდებარეობას, ლანდშაფტსა და ქალაქის ისტორიას, სახელი გადაურქმევიათ და ბათუ კრავეიშვილი უწოდებიათ. ბათუ კრავეიშვილის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მაგრამ ასე ცვალო სახელები და, თუ გნებავთ მისამართები, უბრალოდ უხერხულია და არასწორიც.

წინა მთავრობის მიერ ეზოს ამხანაგობების შემოღება აშკარად საარჩევნო პოლიტიკური მხარდამჭერების მობილიზებით იყო განპირობებული. ამაში არაერთი დარწმუნდა. მაგალითად, ნიაღვრის ქ. №6-ში გააერთიანეს ჩიტაძის შესახვევი №3 და ნიაღვრის 4-ა. ამას სრულიად შემთხვევით, საბუთების აღების სირთულისას წავაწყდით საჯარო რეესტრში, რაც აუცილებლად დასაზუსტებელი და გასასწორებელია, რადგანაც ამ ბაკქანალიით, თქვენ წარმოიდგინეთ პოლიტიკოსებმა და, რაც არ უნდა გაგიკვირდეთ, მათმა ახლობლებმა ისარგებლეს.

საინტერესოა: ნიაღვრის №6-ში ჯერ სტუდენტობისას ზვიად ძიძიგური ცხოვრობდა მდგმურად. შემდგომ ამ ბინაში — დამხმარე სათავსოს მინაშენში ნაზი არონიას ძმის ოჯახი ჩასახლდა. ეს ფართი სწორედ ამ მისამართების შეერთებისას დაიკანონეს (როგორც ბინა). ჩვენ კი ამ ბაკქანალიის გამო პრობლემები შეგვექმნა, რადგანაც მისამართი რომ დავიბრუნოთ, სრულიად უცნობი და ნაცნობი 40 კაცის ნოტარიული ხელმოწერა უნდა შევაგროვოთ, რომელთა ნაწილი უცხოეთშია და, წარმოიდგინეთ რა რთულია ამის მოხერხება. სახელის გადარქმევით კი, საერთოდ იშლება კვალი, და ეძებე მერე ქუჩა და მისამართი.

დარწმუნებული ვართ, ქუჩის სახელის შეცვლისას ერთი ხელმოწერაც არ იქნება მოძიებული.

დევდარიანისა და დეკანოსიძის ოჯახები,
ნიაღვრის ქუჩის მცხოვრებლები.

◎ ალიან-ჩალიანი

თიბილოვმა სანაკოევი თანამდებობიდან გაათავისუფლა

ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა ლეონიდ თიბილოვმა ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრი დავით სანაკოევი თანამდებობიდან გაათავისუფლა და ის „პრეზიდენტის“ სახელმწიფო მრჩევლად დანიშნა. ამის შესახებ „რია ნოვოსტი“ თიბილოვის პრესმდივანზე დაყრდნობით იუწყება.

თიბილოვმა აღნიშნული გადაწყვეტილება ე.წ. პარლამენტის მოთხოვნის საფუძველზე მიიღო. ჯერ კიდევ მარტში დე ფაქტო პარლამენტის უმრავლესობამ სანაკოევს უნდობლობა გამოუცხადა, როგორც რუსეთთან ინტეგრაციის გაღრმავების მოწინააღმდეგეს.

ინტერპრესი

„მე და შენ ერთი სისხლისანი ვართ...

უწინდელ **პუბლიკაციაში ადამიანისა და სხვადასხვა ცხოველის მეტად არაჩვეულებრივ ურთიერთობის, შეიძლება ითქვას მეგობრობის შემთხვევების შესახებ ხშირად გვქონია ლაპარაკი.**

თუმცა, ცხადია, ბევრი რამ კიდევ უთქმელი დაგვრჩა. მაგალითად, არაფერი გვითქვამს აფრიკულ ბოტსვანაში გოტენტოტების... მწყემსი-ბაბუინების შესახებ. ეს „ძაღლისთავა“ მაიმუნები დიდი გულმოდგინებით მწყემსავენ თხებს, საფრთხის შემთხვევაში განგაშს ტეხავენ, გზააბნეულ ციკნებს ჯოგში აბრუნებენ. ყველაფერ ამასთან, ისინი პატრონობის ყველა განკარგულებას უმალ ასრულებენ, რომლებიც მათთან გარკვეული ჟესტებით ურთიერთობენ.

მეცნიერები დიდი ხანია, ცდილობენ ადამიანსა და გარეულ ცხოველს შორის ასეთი ურთიერთობების საიდუმლოების ამოხსნას. **ზოგიერთის აზრით, ჩვენი წინაპრები, ტროგლოტიდები, ბუნებასთან უმჭიდროესად იყვნენ დაკავშირებულნი. ამდენად, გამორიცხული არ არის, რომ მათ გარეულ ცხოველთა ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე ზემოქმედება შეეძლოთ.** თუკი გველებს თავიანთი მსხვერპლის დაგიპნოზება შეუძლიათ, მაშ რატომ არ შეეძლო მათზე გაცილებით განვითარებულ ჩვენს წინაპარს მტაცებლებზე ზემოქმეება მოეხდინა? ცნობილია, რომ ზოგიერთი მტაცებელი ცხოველი უფრო ემორჩილება წვრთნას, ვიდრე მეორე. ეჭვი არ არის, რომ მომთვინიერებლები ამა თუ იმ ცხოველის გარკვეულ უნარს აგნებენ. მკვლევარებმა ყურადღება მიაქციეს ერთ საგულისხმო გარემოებას: მაგალითად, **ამერიკის კონტინენტის მტაცებლები (ვთქვათ, იაგუარები) გაცილებით უფრო ძნელად იწვრთნებიან, ვიდრე აფრიკისა ან აზიის მტაცებლები (ვთქვათ, გიენები ან ვეფხვები). ამის პასუხი, ალბათ, ის არის, რომ ამერიკაში ტროგლოტიდები არ ბინადრობდნენ!**

კიდევ ერთი საყურადღებო დაკვირვება იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ საკუთარ მეტყველებას ყურს თუ მივუგდებთ, გავიგონებთ, რომ მას ამოსუნთქული ჰაერის ჭავლი ახლავს. ცხოველები კი პირიქით, შესასუნთქ ჭავლს იყენებენ. მაგრამ, **საგულისხმო ისაა, რომ პირველყოფილ ტომებს მეტყველების პირვანდელი ინსპირატორული სისტემა აქვთ შემორჩენილი – ესენია წკალპუნი, ცმაცუნი. დღესდღეობით არსებულ ყველა ენაში არის ისეთი ბგერები, რომლებმაც ჩვენამდე უხსოვარი დროიდან მოაღწია და რომლებსაც ცხოველებთან ურთიერთობისას ვხმარობთ. ხომ დაკვირვებიხართ საკუთარ თავს, რომ ძაღლთან ან კატასთან „საუბრისას“ ისეთ ინტონაციებს იყენებთ, რომლებსაც ადამიანებთან ლაპარაკისას არასდროს არ ხმარობთ?**

მეცნიერთათვის ცნობილია მე-17 საუკუნეში ჰოლანდიელი ექიმის ტულპის მიერ აღწერილი შემთხვევა ირლანდიის მთებში ცხვრის ფარაში გაზრდილ ბიჭუნების შესახებ. მას ადამიანური მეტყველება საერთოდ არ შეეძლო, სამაგიეროდ ცხვარივით ჩინებულად ბღაოდა. მკვლევართა აზრით, ამ შემთხვევაში, ალბათ, საქმე გვაქვს რელიქტურ ჰომინიდთა, ანუ პალეოანტროპთა შთამომავალზე, რომელსაც მხოლოდ ცხოველებთან შეეძლო ლაპარაკი.

ასეთი არსებები გარემოსთან სრულიად შეთანხმებულად ცხოვრობდნენ, ტყუილუბრალოდ არავის კლავდნენ, თუმცა კი, გარეულ ცხოველებზე ზემოქმედების უძლიერეს იარაღს ფლობდნენ. ვინ იცის, იქნებ ჩვენს შორისაც არიან ამ უძველესი თვისებების მატარებელი ადამიანები?

ვინ იცის...

(დასაწყისი №№40, 50).

ვასი: თეთრი და უხმაურო

თანამედროვე **ადამიანის თვალთახედვით ქაღალდი – ესაა „ჩვეულებრივი“ რამ, რომელსაც სხვადასხვა სახით ყოველდღიურ ყოფაში მუდმივად მოვიხმართ. მაგრამ, მოდით მაინც დავფიქრდეთ მის „არაჩვეულებრივობაზე“.**

ისევე, როგორც უამრავი სხვა რამ, ქაღალდიც ერთ-ერთი იმ საოცრებათაგანია, რომელიც კაცობრიობას ჩინელთა გენიამ შესძინა. ქაღალდის შესახებ უამრავი რამის თქმა შეიძლება, თუმცა, ამ ჯერზე იაპონიაში ქაღალდის წარმოების ზოგიერთ საგულისხმო დეტალს გაგაცნობთ და მისი გამოყენების წმინდა წყლის იქაური ამბავს მოგითხრობთ.

ქაღალდის მისაღებად იაპონიაში ოდითგანვე პატარა ტანის ხეს „ქაღალდის დაფნასა“ (მიცუ ბატას) და „გამპის“ იყენებდნენ. პირველი მათგანი კულტურული მცენარეა, მას საგანგებოდ რგავენ, ხოლო მეორე ნახევარბუჩქი კი ველურია, თუმცა ხელოვნურადაც აშენებენ. გამპის ქაღალდი მიცუს ქაღალდზე თხელია, მაგრამ ყველაზე გამძლე ქაღალდს მესამე მცენარისგან აკეთებენ და მას კამიკასოკა ეწოდება. ქაღალდის მასის საცერსა და ფორმასაც ბამბუკის ძალიან წვრილი ტოტებისგან ამზადებენ, მექაღალდის წინ და უკან მოძრაობებით მისი ბოჭკოები ერთი მიმართულებით განლაგდებიან, რის შედეგად ქაღალდი განსაკუთრებულ განივ სიმკვრივეს იღებს. ამ წესით დამუშავებულ ქაღალდს მასას შემდგომ გლუვ ფირფიტაზე დებენ და აშრობენ.

საქმეში ჩაუხედავი კაცისთვისაც ცხადია, რომ ასე დამზადებული ქაღალდი მეტად გამძლეა, მაგრამ ისმება კითხვა: რა საჭიროა ქაღალდისთვის დიდი გამძლეობა? განა ქაღალდის მთელი „პრაქტიკული ეში“ სწორედ ის არ არის, რომ ფურცელი შეგვიძლია დავკეცოთ, დავჭმუჭნოთ, ხოლო, საჭიროების შემთხვევაში, ისევ გავშალოთ, ბოლოს კი, სულაც, დავხიოთ და გადავაგდოთ? პასუხი დიდებული იაპონელი პროზაიკოსის ძიუნიიტირო ტანიძაკის ესეიში, „ქებათაქება ჩრდილს“ შეგვიძლია ამოვიკითხოთ: **„განსაკუთრებით აღსანიშნავია კაბინეტის ფანჯარა, – სიოინი, რომლის ქაღალდის ჩარჩოები, რომლებიც სუსტ მოთეთრო სინათლეს ატარებს... ეს ფანჯარა არა იმდენად სინათლის წყაროა, რამდენადაც ფილტრი, რომელიც ქაღალდის გარედან შემოსული შუქის გვერდით სხივებს წრიტავს, და მათ საჭირო დონემდე ასუსტებს. დიდებულია ფანჯრის შიდა ჩარჩოებზე ამ სინათლის ცივი და მდუმარე ელფერი!“**

ძალიან უჩვეულოა, ხომ მართალია, როცა ქაღალდი ერთდროულად კედელიც არის და სინათლის ფილტრიც?!

ისე კი, უნდა ითქვას, რომ ჩვენს გარშემო აუარება ხარისხის ქაღალდია: ეს არის საწერი და საფოსტო, წიგნისა და საგაზეთო, ყდისა და შესაფუთი, თეთრი და რუხი, მკვრივი და თხელი, ვატმანი და კალკა, უამრავი სხვა სახეობის. **ენციკლოპედიებში ქაღალდის 600-ზე მეტი სახეობაა ნახსენები!** მაგარმ ერთ რამის განსაკუთრებით გვინდა თქვენი ყურადღება მივაპყროთ, პატივცემულო მკითხველო: ესაა ქაღალდის მიმართ იაპონელთა სხვებისგან დიდად განსხვავებული დამოკიდებულება, რის შესახებ ლაპარაკი შემდგომ პუბლიკაციებში გვექნება.

(გაგრძელება იქნება)

ბარბი, მიკი მაუსი, ტომაგოჩი და სხვები

ეჭვი **არ არის – ერთ დროს დიდად პოპულარულ ფილმს „თოჯინები იცინიან“ დღესდღეობითაც დიდ-პატარა მაყურებლები სიამოვნებით უყურებენ. ამიტომაცაა, რომ ამ ფილმიდან ბევრი ფრაზა, მათ შორის სათამაშოების ფაბრიკის დირექტორის, რომელიც ჩვეული ბრწყინვალეებით დაუვიწყარმა ეროსი მანჯგალაძემ შეასრულა, ტირადა: „რატომ იყო რევოლუციამდელი ბავშვი გონებაჩლუნგი? იმიტომ რომ სათამაშოები არ ჰქონდა!..“**

სათამაშოებს, გარშემო სამყაროს შეცნობაში, ბავშვისთვის მართლაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ისინი მას გააზრებულ მოქმედებას ასწავლიან, ხელს უწყობენ აზროვნების, მეხსიერების, ემოციებისა და მეტყველების განვითარებას.



✱ უძველესი აღმოჩენილი სათამაშოები ქვების, ჯოხებისა და თიხისგან იყო გაკეთებული. ათასწლეულების წინათ **ეგვიპტელი** ბავშვები პარიკიანი და მოძრავი ხელ-ფეხის მქონე თოჯინებით თამაშობდნენ. **ინდის ცივილიზაციის** (3000-1500 წელი ჩ. წ. ა.) ნამოსახლართა გათხრების დროს არქეოლოგებმა ციდა ურმები, ფრინველის ფორმის სასტვენები, თოკზე მცოცავი პაწაწინა მაიმუნები აღმოაჩინეს. ყველაზე ძველი თოჯინები კი ხიდან იყო გამოჩორკნილი, ანდა ბალახის შეკრებისგან იყო გაკეთებული.

✱ ძველ **საბერძნეთში,** როცა ბავშვი სრულწლოვანი ხდებოდა, მის სათამაშოებს ღმერთებს სწირავდნენ.

✱ **მე-20 საუკუნის** დასაწყისში თოჯინები უკვე ამბობდნენ „დედას“, **ახლანდელები** კი საგნებსაც ცნობენ და თავიანთ მფლობელსაც. იმ ხანებში ყველაზე პოპულარული სათამაშო ხავერდის დათუნია იყო, რომელსაც ევროპასა და ამერიკაში „ტედის“ ეძახდნენ.

✱ ჩვილების თვალებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ გოგოები ყურადღებას უფრო თოჯინებს აქცევენ, ბიჭუნები კი – მანქანებს. საინტერესოა, რომ სათამაშოს შერჩევისას პრიორიტეტი სქესობრივ კუთვნილების გააზრებაზე გაცილებით უფრო ადრე ხდება.

✱ საქვეყნოდ ცნობილ **რუბიკის კუბიკს** 43 252 003 274 489 865 000 კომბინაცია და მხოლოდ ერთი ამოხსნა აქვს!

✱ 1939 წელს დამზადებული **მიკი მაუსი** აუქციონზე 83 650 დოლარად გაიყიდა – მას თანამედროვე მიკისგან განსხვავებული გამომეტყველება, უფრო გრძელი ხელები და ყურების სხვანაირი განლაგება აქვს.

✱ ყველაზე ძვირადღირებული თოჯინა **ბარბი** 100 ათასი დოლარი ღირს – მისი კაბა ბრილიანტებითაა მორთული.

იუდეველთა ზოგიერთ თემში სათამაშო **ტომაგოჩის** რელიგიური აკრძალვა ადევს – როგორც ცნობილია, შაბათობით მუშაობა ებრაელებისთვის არ შეიძლება, ღილაკებზე დაჭერა კი, რაც ცხოველის საჭმელადაა საჭირო, ესეც თავისებური სამუშაოა.

უდაბნოს „ბელელი“

„ოაზისის დედოფალი ფეხებს წყალში, მშვენიერ თავს კი – მზის ცეცხლში იბანს“. – ასე ამბობენ ოდითგან არაბები ფინიკის პალმაზე. ვინ მოაშინაურა ეს მართლაც გასაოცარი მცენარე პირველმა, რომელიც მაროკოდან მოყოლებული ვიდრე სპარსეთის ყურემდე მილიონობით ადამიანისთვის სიცოცხლის სიმბოლოდაა ქცეული, დღემდე უცნობია. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: ველური ფინიკის პალმა ბუნებაში არ არსებობს. მისი კულტურული შთამომავლის ნაყოფები მრავლადაა ნანახი ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-4 ათასწლეულით დათარიღებულ სამარხებში!

ბუნებრივია, თანამედროვე ცხოვრებამ ადამიანსა და ოაზისის დედოფლად წოდებულ ფინიკის პალმის ურთიერთობაში მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა – დღესდღეობით არაბი გლეხები მის მერქანს საცხოვრისის ასაშენებლად აღარ იყენებენ, ხოლო ფართო ფოთლებისგან ნალებსა და ქუდებს აღარ წნავენ, თუმცა კი, მაინც უდიდესი პატივისცემით ეპყრობიან.

მის ქარვისფერ-წითელჟანგაფერ ხორციან ნაყოფს გლეხები ბაზარში ყიდიან, თავისთვის კი ხმელ, ეგრეთ წოდებულ „პურის“ ფინიკებს იტოვებენ, რომლებიც ჯერ მოუკრეფავად ხეზე გამოშრნენ და დაშაქრდნენ. ეს კი ნამდვილი ბუნებრივი კონსერვია! თავიანთ უნიკალურ თვისებებსა და დიდებულ გემოს ისინი მთელი წლის მანძილზე ინარჩუნებენ. ლიბანის სამზარეულოში ფინიკიდან ათობით კერძს აკეთებენ – დაფქვილებისგან პურსა და მჭადს აცხობენ, ახალმოკრეფილ ნაყოფებს კი წურავენ და გემრიელ წვენს აყენებენ, დაჩეჩქვილ კურკებს კი აქლემებს აჭმევენ.

მხეცური სექსი

– რა ვიცით ჩვენ, ადამიანებმა, დედამიწაზე ჩვენი მეზობელი ოთხფეხა, ექვსფეხა, ფრთოსანი და ფარფლოსანი მეზობლების შესახებ? – ამ კითხვას მიუნხენელი ჟურნალისტი მიხაელ მირშმა სვამს. იგი ცხოველების შესახებ მრავალი წელია წერს და ერთობ საგულისხმო წიგნის „ცხოველთა უცნაური სექსუალური ცხოვრების“ ავტორია.

ზოოლოგებისთვის კარგადაა ცნობილი, რომ „ბონოდოს“ ჯიშის მაიმუნები საკუთარ თანამეგობრობას იმით აძლიერებენ, რომ ყოველ საათნახევარში ერთხელ სექსუალურ კონტაქტს ამყარებენ. სამაგიეროდ, გაცილებით უფრო ნაკლებადაა ცნობილი, რომ ადამიანებისთვის მეტად საყვარელი ცხოველებიც ინსტინქტებს დამორჩილებულ ერთობ ვნებიან სექსუალურ ცხოვრებას ეწევიან. პირველ ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ მრავალი მშობელი, ალბათ, ზღვის გოჭებს თავიანთ პატარებს სულ არ უყიდიდდა, რომ იცოდეს, რომ ყოველი მეათე მამრი საოცრად აღვირახსნილი, მრავალი პარტნიორის მყოლი პირწავარდნილი „ჰომოსექსუალისტია“. თანაც, ეს გადახრა მარტო ზღვის გოჭებისთვის არ არის დამახასიათებელი.

ცხოველთა სამყაროში სექსის ტრფიალთა შორის მრავლადაა გამორჩეული სახეობა საქმის „რეკორდსმენი“. ჭეშმარიტად სექსუალური გიგანტები არიან რუხი ვირთაგვები, რომლებსაც 6 საათის განმავლობაში დაახლოებით 500 სექსუალური კონტაქტის დამყარება, ჩვეულებრივ თხუნელებს კი სექსუალური ურთიერთობა გაუჩერებლად ათი საათის განმავლობაში შეუძლიათ! არადა, ადამიანის უახლოესი „ნათესავი“ – შიმპანზე, „ამ საქმეს“ მხოლოდ 7-8 წამს ანდომებს... საბრალო მარტორქები მყვირალობის ჟამს ერთმანეთთან სექსუალურად მხოლოდ ერთხელ ურთიერთობენ, სამაგიეროდ დელფინები ცხოველთა სამყაროს ნამდვილი „კაზანოვები“ არიან: თავიანთი ნახევარმეტრიანი პენისებით ისინი მოცურავე ადამიანებსაც კი „აწუხებენ“.

ცხოველებში ადამიანის სექსუალური მოქცევის უკლებლივ ყველა ფორმა არსებობს: პავიანებში გავრცელებულია ანალური სექსი, მდედრი პინგვინები ხალისით ნებდებიან იმ მამრს, რომელიც ბუდის ასაშენებლად კენჭს მოუტანს, ზოგიერთი თევზი და მოლუსკი სქესს იცვლის.

ერთადერთი ადამიანური გატაცება, რომელზეც ცხოველებს არანაირი რეაქცია არ აქვთ, ესაა პორნოგრაფია...

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის ინტერვიუ:

NATO, რუსეთი, საქართველო და 2008 წლის მოვლენები

22 აპრილს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი შეხვდა და ესაუბრა ჟურნალისტებს – რადიოსადგურების „Спутник“-ის, „эхо Москвы“-ს და „Говорит Москва“-ს მთავარ რედაქტორებს მარგარიტა სიმონიანს, ალექსეი ბენედიქტოვს და სერგეი დორენკოს. საუბარი, ბუნებრივია, უმეტესად რუსეთის საგარეო პოლიტიკის საკითხებს ეხებოდა.

ერთ-ერთი ჟურნალისტის თქმით, საზღვარგარეთ ძალიან ბევრმა ადამიანმა არ იცის, თუ რა ხდება საერთაშორისო ურთიერთობებში, მათ არ იციან, არ გაუგიათ არაფერი ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებზე, როგორიცაა ნატოს მიერ განხორციელებული თავდასხმა იუგოსლავიის წინააღმდეგ, ბელგრადის დაბომბვა, რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი... და თუ იციან, ისიც დამახინჯებული სახით. ასეთი ადამიანები ბევრია ამერიკის შეერთებულ შტატებში და სხვა ქვეყნებში. მაგალითად, ამას წინათ აშშ-ის კონგრესმა მიიღო რეზოლუცია უკრაინის შესახებ, რომელშიც ასეა ჩაწერილი: პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ვლადიმირ პუტინს მეგობრობის ხელი გაუწოდა, ვლადიმირ პუტინმა კი უარი უთხრა და საქართველოს თავს დაესხა. არადა, ბარაკ ობამა ხომ საქართველო-რუსეთის კონფლიქტის დროს აშშ-ის პრეზიდენტი არ იყო. რა არის ეს, ამერკელების მიერ „მოფიქრებული“ ეშმაკური გეგმა თუ საკითხის არცოდნა?

სერგეი ლავროვი: რაც შეეხება 2008 წლის ზაფხულში მომხდარ კავკასიურ მოვლენებს, ვლადიმირ პუტინი იმ დროს რუსეთის პრემიერ-მინისტრი იყო და პეკინის ოლიმპიურ თამაშებს ესწრებოდა. მისი მონაყოლის თანახმად, იგი მივიდა აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშთან, რომელიც ასევე ოლიმპიადის გახსნას ესწრებოდა და უთხრა – „ცნობა მივიღე, მიხეილ სააკაშვილი ცხინვალს და იქ მყოფ რუს მშვიდობისმყოფლებს თავს დაესხაო“. ჯორჯ ბუში შეცბუნებულა და უპასუხია – „ოჰ, რა ცუდი ამბავი მომხდარაო“. ასე რომ, იმ დროს აშშ-ის პრეზიდენტი ნამდვილად ჯორჯ ბუში იყო და არა ბარაკ ობამა...

ამ ფაქტამდე რამდენიმე თვით ადრე, 2008 წლის აპრილში, ბუქარესტის სამიტზე, რომელშიც ჯორჯ ბუში, გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი, საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი და NATO-ს წევრი ქვეყნების სხვა ლიდერები მონაწილეობდნენ, მიიღეს დოკუმენტი, რომელშიც ჩაწერილი იყო, რომ საქართველო და უკრაინა NATO-ს წევრები გახდებოდნენ. ჩემი შეფასებით, ამ მოვლენამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმაში, რომ მიხეილ სააკაშვილმა „აიწყვიტა“, მან იფიქრა, რომ ყველაფრის უფლება აქვს. მით უმეტეს, რომ ცხინვალის ამბებამდე თბილისში აშშ-ის სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისიც იმყოფებოდა. მოგვიანებით მე რაისს შევეკითხე, თუ რაზე ისაუბრა სააკაშვილთან. მან მითხრა, სააკაშვილს პრობლემის პოლიტიკური მოგვარებისკენ მოვუწოდებდიო.

რა დგას ამ მოვლენების უკან – პროფესიონალიზმის არარსებობა თუ მართვადი ქაოსის შექმნა, როცა „ამღვრეულ წყალში თევზის დაჭერა ადვილია“? მე ასე ვიტყვი: მხარს ვუჭერ იმ აზრს, რომ ამერიკელები, ცხადია, სულელები არ არიან. რასაც ისინი აკეთებენ, ამას შეგნებულად აკეთებენ. მართალია, მათ პროფესიონალები მიფანტ-მოფანტეს, მაგრამ მაინც დარჩნენ ზოგიერთები, მაგალითად, ძალიან ძლიერი და კვალიფიციური ექსპერტები ახლო აღმოსავლეთის საკითხებში. ასეთები დღეს მსოფლიოში ერთეულები არიან. სტრატეგიულად, აშშ-სთვის მიუღებელია ისეთი სიტუაციის არსებობა, როცა მსოფლიოს „მნიშვნელოვანი“ რეგიონები „თავისთვის ცხოვრობენ, ჭამენ და სიმდიდრეს აგროვებენ“, ანუ ისინი აშშ-ის გარეშე არსებობენ. ვაშინგტონისათვის მნიშვნელოვანია, რომ მასზე ყოველთვის ვიღაცა იყოს დამოკიდებეული, მაგალითად, ისრაელი – არაბებთან ურთიერთობაში და ასე შემდეგ“.

მოამზადა სიმონ კილაძემ, „რეპორტიორის“ ანალიტიკური სამსახურის ხელმძღვანელმა

ვიზიტი მოსკოვის დაჟინებული მზერით

23 აპრილს ბელარუსის პრეზიდენტი ალექსანდრ ლუკაშენკო ქვეყნის თავისი მართვის 20-ზე მეტი წლის განმავლობაში პირველად ჩავიდა თბილისში ორდღიანი სახელმწიფო ვიზიტით. ამ ვიზიტის დროს განზრახულია ბევრი ღონისძიება, მათ შორის ხელშეკრულების ხელმოწერა ეკონომიკისა და ტურიზმის სფეროებში. ბელარუსის პრეზიდენტის ჩამოსვლის შესახებ რუბრიკის „არამრგვალი მაგიდა“ ფარგლებში ჩვენ ვესაუბრებით პოლიტოლოგს თბილისიდან გიორგი ხუხაშვილს და მის კოლეგას მინსკიდან ვალერი კარბალევიჩს.

ქეთი ბოჭორიშვილი: ბატონო გია, თქვენი აზრით, რას ნიშნავს საქართველოსთვის ბელარუსის სახელმწიფოს ხელმძღვანელის ვიზიტი? ხომ არ არის საიდუმლო, რომ ლუკაშენკოს პერსონისადმი მსოფლიოში ერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულება არაა. დასავლეთი მას არაერთგზის უწოდებდა და კვლავ უწოდებს დიქტატორს, ზოგისთვის იგი უხეში პრეზიდენტია, თანაც ბელარუსი ევრაზიული ეკონომიკური კავშირის აქტიური წევრია. როგორ მიგაჩნიათ, ასეთი ვიზიტი მეტ სარგებელს მოგიტანთ დღევანდელ მდგომარეობაში თუ ზიანს?

გიორგი ხუხაშვილი: ვფიქრობ, რომ ეს მხოლოდ სარგებელს მოგვიტანს, ვინაიდან ისევ მიუხედავად ბელარუსისა და საქართველოს განსხვავებული უახლესი ისტორიისა, ისტორიული მეხსიერება ერთნაირია, და პრინციპულად ვფიქრობ, რომ ჩვენ კარგად გვესმის ერთმანეთისა. რაც შეეხება იმას, რაც თქვენ თქვით ბელარუსის პრეზიდენტის შესახებ, ვფიქრობ, დღევანდელი მსოფლიო მეტად რთულია და ერთმნიშვნელოვნად ისაუბრო ვიღაცის დემოკრატიულობასა თუ სხვა რაიმე ტენდენციებზე, შეუძლებელია. მსოფლიო მეტად რთულია.

ქეთი ბოჭორიშვილი: ბატონო გია, მაგრამ საქართველოშიც კი ყველა როდი ხვდება ლუკაშენკოს ხელგაშლილი. მახსოვს, ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ ლევან ბერძენიშვილი, ამჟამად პარლამენტის დეპუტატი „რესპუბლიკელების“ პარტიიდან, აცხადებდა, რომ არ ურჩევს ლუკაშენკოს ჩამოვიდეს საქართველოში, წინააღმდეგ შემთხვევაში „იგი და მისი თანაპარტიელები აგრძნობინებენ მას, რომ მან უნდა უპასუხოს დაპატიმრებების შესახებ იმ მეგობრებისა, რომლებიც დაზარალდნენ პოლიტიკური მოტივებით“. რა შეიცვალა მას შემდეგ, რატომ გახდა მაინც

ლუკაშენკო საქათველოში სასურველი სტუმარი?

გიორგი ხუხაშვილი: ჯერ ერთი, ჩვენ პოლიტიკაში დაგვიგროვდა ძალიან ბევრი პოლიტიკური დისიდენტი, რომლებიც ოპერირებას აკეთებენ არა პოლიტიკური რეალიებით, არამედ ფსევდოლიბერალური გაგებებით და, ამით ზიანს აყენებენ სახელმწიფო ინტერესებს, ვინაიდან არ შეიძლება ასე მოეპყრა რომელიმე ქვეყნის ხელმძღვანელობას. პოტენციურად, ვფიქრობ, ბელარუსი – ჩვენი მეგობრული ქვეყანაა. ეს ოპოზიციის მხრიდან შეიძლება ისაუბრო, რომ წინა ხელისუფლების მხრიდან ამის შესახებ საუბარი ზედმეტია. რაც შეეხება მეორე არგუმენტს, ორი წლის წინათ ეს დინამიკა გვიჩვენებს სიტუაციის განვითარებას რამდენადმე სხვა თვალსაზრისით, და ეს ცნებები იცვლება, მიმდინარეობს რაღაც პროცესები. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ბელარუსს ევროპის ისტორიაში შეუძლია შეასრულოს ერთ-ერთი საკვანძო როლი და ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია გვესმოდეს ერთმანეთისა. რაც შეეხება ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა დემოკრატია და ა.შ. ყველაფერი იცვლება და ყოველთვის არა საუკეთესო მიმართულებით, მაგრამ მაინც იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ თვალსაზრისით ყველაფერი წესრიგში იქნება. დემოკრატიასთან დაკავშირებით პრობლემები არის ყველგან და ყველგან სიმშვიდე როდია. დიახ, ბელარუსში, შეიძლება, ოდნავ მეტი პრობლემა იყოს, მაგრამ ვფიქრობ, რომ ლუკაშენკოს კარგად უჭირავს ხელი ისტორიის პულსზე და დინების წინააღმდეგ არ წავა.

ქეთი ბოჭორიშვილი: ბატონო კარბალევიჩ, თქვენ ეთანხმებით ჩვენი მოსაუბრეს ასეთ ოპტიმზმს? მართლა უნდა ველოდოთ, რომ დემოკრატიასთან დაკავშირებით ბელარუსში უახლოეს მომავალში ყველაფერი უკეთ იქნება?

ვალერი კარბალევიჩი: ჯერ-ჯერობით არანაირი პერსპექტივა სიტუაციის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებების შესახებ ბელარუსში არაა. გაეროს მომხსენებელმა ბელარუსში თავის მოხსენებაში განაცხადა, რომ სიტუაცია ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით ბელარუსში უარესდება. დაახლოებით იმავეს ამბობენ სამართალდამცველებიც, კერძოდ, დღეს მე ვნახე სამართალდაცვის ორგანიზაციის „ვესნას“ წარმომადგენელთა განცხადება იმის შესახებ, რომ ადამიანის უფლებათა დაცვასთან დაკავშირებით სიტუაცია ბელარუსში სტაბილურად მძიმეა. ბელარუსში წელს იქნება პრეზიდენტის არჩევნები, მაგრამ არავის აქვს იმის იმედი, რომ ეს არჩევნები იქნება დემოკრატიული და თავისუფალი, ამიტომ პერსპექტივებს სიტუაციასთან დაკავშირებით დემოკრატიის თვალსაზრისით ბელარუსში მე ჯერ ვერ ვხედავ.

ქეთი ბოჭორიშვილი: თქვენი აზრით, რას აძლევს ბელარუსს ალექსანდრ ლუკაშენკოს ვიზიტი თბილისში, რა დივიდენდები შეიძლება მოუტანოს მან ბელარუსს და როგორ მოეპყრობა მოსკოვი ასეთ ნაბიჯს?

ვალერი კარბალევიჩი: უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო ერთადერთი პოსტსაბჭოთა სახელმწიფოა, რომელშიც ჯერ კიდევ არ ყოფილა ოფიციალური ვიზიტი ბელარუსიდან, უფრო მეტიც, საქართველოდანაც ბელარუსში არ ყოფილა ვიზიტი უმაღლეს დონეზე. საბჭოთა კავშირის დაშლიდან 25-ზე მეტი წლის განმავლობაში ესაა პრაქტიკულად პირველი ვიზიტი ოფიციალურ დონეზე, რაც, რასაკვირველია, აბსოლუტურად არანორმალურია იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც ოდესღაც ერთ სახელმწიფოში ცხოვრობდნენ. უფრო მეტიც, დღეს ბელარუსს არა აქვს საელჩო თბილისში. საქართველოს საელჩო მინსკში არის, მაგრამ ბელარუსისა თბილისში – არა.

ქეთი ბოჭორიშვილი: ბატონო გია, რა უნდა აინტერესებდეს ლუკაშენკოს, თქვენი აზრით, ბათუმში, თუ ეს ვიზიტი უბრალოდ აღნიშვნისთვისაა?

გიორგი ხუხაშვილი: მიჭირს ამაზე პასუხის გაცემა, მაგრამ, ვფიქრობ, ეს გაირკვევა ვიზიტის დროს. იქნებ, ოქმის მიხედვით, ქართულმა მხარემ შესთავაზა მას ჩასულიყო ბათუმში.

Эхо Кавказа
echokavkaza.com

დედამიწის ზურგზე

კიმ ჩენ ინის ვიზიტი მოსკოვში გამარჯვების დღესასწაულზე „დადასტურებულია დიპლომატიური არხებით“, იტყობინება რუსი დიპლომატი

სამხრეთ კორეაში რუსეთის ფედერაციის ელჩმა ალექსანდრ ტიმონინმა განაცხადა, რომ კიმ ჩენ ინი, ალბათ, მოსკოვში გამარჯვების 70 წლისთავის დღესასწაულზე ჩავა 9 მაისს. დიპლომატის სიტყვებით, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ლიდერის ჩამოსვლა დადასტურდა დიპლომატიური არხებით. თავად ტიმონინი სამუშაოდ გადავიდა სეულში ფხენიანიდან, სადაც შარშანდელი წლის ბოლომდე სათავეში ედგა რუსეთის დიპლომატიურ მისიას.

ევროკავშირმა შეიძლება, დაიწყოს სამხედრო ოპერაცია ხმელთაშუა ზღვაში

ევროკავშირის საგანგებო სამიტზე, რომელიც მიეძღვნა ლტოლვილთა პრობლემებს, განიხილავენ წინადადებას – ჩართონ შეიარაღებული ძალები კონტრაბანდისტული ბანდების წინააღმდეგ საბრძოლველად, რომლებიც მოქმედებენ ხმელთაშუა ზღვაში.

ვულკანმა ჩილეში ამოაფრქვია ფერფლი 20 კილომეტრის სიმაღლეზე, გამოცხადდა საფრთხის უმაღლესი დონე

დაიწყო ვულკან კალბუკოს ამოფრქვევა, რომელსაც 1972 წლიდან ეძინა: მან ამოისროლა ფერფლი თითქმის 20 კილომეტრის სიმაღლეზე. ევაკუირებულია დაახლოებით 4 ათასი კაცი. ლამაზ სვეტს, რომელიც ვულკანის თავზე აღიმართა, შეიძლება თვალყური ვადევნოთ 50 კილომეტრის მანძილიდან.

თურქეთმა გაიწვია თავისი ელჩი ავსტრალიიდან პარლამენტის რეზოლუციის შემდეგ სომეხთა გენოციდის შესახებ

ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ავსტრიელმა კანონმდებლებმა მიიღეს დეკლარაცია, რომელიც გმობს სომეხთა გენოციდს ოსმალეთის იმპერიაში და რომელსაც თურქეთი არ აღიარებს. 24 აპრილს სომხებს მიმართავს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ობამა. თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა გაზგასმით აღნიშნა, რომ ობამასგან ელოდება თავშეკავებას.

ბელარუსი – სტაბილურობის ოაზისი

პარადოქსული ფაქტი! პირველი შთაბეჭდილება ბელარუსზე – თქვენ დაბრუნდით... საბჭოთა კავშირში! იგივე ძეგლები ლენინისა, სსრ კავშირის სხვა მოღვაწეებისა. მოედნები, ქუჩები დარჩა ძველი სახელწოდებებით. მთელი საბჭოთა სიმბოლიკა – როგორც ადრე იყო, ასევე დარჩა ხელუხლებელი. არანაკლებ გასაოცარია სხვა რამეც. ჯერ კიდევ 1898 წელს მინსკში გაიმართა რსდმ პარტიის – სკკ პარტიის წინაპრის – I ყრილობა. ხის პატარა ქოხი, სადაც „ბუნდის“ წარმომადგენლები შეიკრიბნენ თავიანთ პირველ პარტიულ ფორუმზე, შენარჩუნებულია. უფრო მეტიც, რსდმპ-ის I ყრილობის სახლ-მუზეუმში დღემდე მოდის ხალხი.

იმავე ბელარუსში, ბელოვეჟის ნაკრძალში, 1991 წლის ბოლოს „დიდმა სამეულმა“ – ერთ საათში მოაწერა ხელი ხელშეკრულებას ოდესღაც დიდი ქვეყნის – სსრ კავშირის – დასასრულის შესახებ.

რაც მოხდა ჩვენი მკითხველისთვის, კარგადაა ცნობილი! პოლიტიკურმა კონფლიქტებმა, ეროვნულმა შუღლმა, სისხლიანმა შეიარაღებულმა მოვლენებმა, სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე ასეულობით ადამიანს წარმოუდგენელი ტანჯვა რომ მოუტანეს, რაღაც სასწაულებრივ გვერდი აუარეს ბელარუსს, ქვეყანას, რომელსაც აი უკვე ოცი წელია, სათავეში უდგას პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო. და თუ ადრე გაისმოდა ხმები ბელარუსის ლიდერის მისამართით, ახლა, მისი საპრეზიდენტო მმართველობის 20 წლის შემდეგ, ქვეყნის მოსახლეობის ყველა ფენის სიმპათიის სასწორის ფიალა სულ უფრო მეტად იხრება ლუკაშენკოს უპირობო მხარდაჭერისკენ, ვისაც ბელარუსები სიყვარულით „ბატიას“ ეძახიან.

ვინც რა უნდა თქვას, მაგრამ 20 წლის განმავლობაში ბელარუსი არის სტაბილურობის კუნძული არა მხოლოდ ყოფილ სსრ კავშირში, არამედ ევროპაშიც. ევროპის გეოგრაფიული ცენტრი – ბელარუსი დღეს პოლიტიკური სტაბილურობის ცენტრადაც იქცა, რის შესახებაც აშკარად მოწმობს უკანასკნელი მოვლენები უკრაინაში და შეხვედრა უმაღლეს დონეზე მინსკის დიდებულ დამოუკიდებლობის სასახლეში...

შევეცდებით, მიუკერძოებლად განვიხილოთ დღევანდელი ცხოვრება ბელარუსისა, რომელსაც ბევრი კრიტერიუმით (ამას გადაუჭარბებლად ვამბობ) წინ უსწრებდა საქართველო. დიახ, ბელარუსში არაა კოლოსალური ბუნებრივი რესურსები, მას არა აქვს ზღვაზე გასასვლელი, რაც ხელს არ უწყობს ეკონომიკას. საბჭოთა პერიოდში ბელარუსი სსრ კავშირის „საამწყობო საამქროდ“ ითვლებოდა, მისი ეკონომიკა, მრეწველობა კოოპერირებული იყო საბჭოთა კავშირის ასობით საწარმოსთან. 1994 წელს სიტუაცია, რომელიც სახალხო მეურნეობის ლამის სრული კრახით, განადგურებით იმუქრებოდა, შეესანიშნავად განჭვრიტა ხელისუფლებაში არჩევნების შედეგად მოსულმა ა.გ. ლუკაშენკომ. ბელარუსმა მისი ხელმძღვანელობით, ერთადერთმა ყველა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკიდან, შეძლო თავიდან აეცილებინა ადამიანთა მსხვერპლი და ლაფი!

ბელარუსი დღეს ჩამოყალიბებული სახელმწიფოა. მთლიანი შინაგანი პროდუქტის მიხედვით, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, ბელარუსი ორჯერ და მეტად უსწრებს საქართველოს. დღეს ბელარუსი ერი ძლიერია, როგორც არასოდეს. ხალხი ამაყობს თავისი ქვეყნით, ბელარუსი დღეს არაა ყველაზე მდიდარი ქვეყანა, მაგრამ არის კეთილდღეობა, სოციალური პოლიტიკის წარმატებებით, ტოლერანტულობა და კონფესიათაშორისი სიმშვიდე – ბელარუსის სახელმწიფოს პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია, სადაც ხელისუფლების ჩამოყალიბებული, არაკორუმპირებული სახელმწიფო სტრუქტურაა, აგრეთვე შრომისუნარიანი ბიროკრატიული აპარატი. აბსოლუტურად ლიკვიდირებულია ორგანიზებული დანაშაულობანი. ხალხს სჯერა თავისი ხელისუფლებისა, სჯერა თავისი პრეზიდენტისა. ბელარუსი – სტა-ბი-ლურია!

... პირველი რამ, რაც აქ ჩამოსული ადამიანის ყურადღებას იპყრობს, ესაა – გზები, სისუფთავე, სიმწვანე და, როგორც შედეგი – სუფთა ჰაერი. დიახ, გზები ბელარუსში მართლაც დიდებულია, ნაკლსაც რომ ვერ მოუნახავ. ყველგან გზასა და ტრასას აგებენ და არემონტებენ სრული პროგრამით. ეს არა მხოლოდ შესანიშნავად დაგებული ასფალტია, არამედ თანამედროვე ხარისხიანი გზის ყველა აუცილებელი ატრიბუტიკა: საგზაო ნიშნები, ბორდიურები, გაჩერებათა ადგილები, ბაკები ნაგვისთვის, ტრასებზე კი ტუალეტები, ფანჩატურები და ა.შ.

ბელარუსის ქალაქებისა და სოფლების გზებისა და ტრასების სისუფთავემ, სანიტარიულმა მდგომარეობამ შეიძლება გააოგნოს ჩვენი თანამემამულე, რომელიც საქართველოს მთავარ ქუჩაზეც კი – თბილისის რუსთაველის პროსპექტზე ყოველ ნაბიჯზე ხედავს მიმობნეულ სიგარეტის ნამწვებს, სხვა ნაგავს. ბელარუსში ამას ვერ დაინახავ ვერსად, ხოლო, თუ დაინახავთ ძირს გადაგდებულ ნამწვს – ეს უკვე იქ ჩასული სტუმრების „დამსახურებაა“.

მინსკი, როგორც მთლიანად ბელარუსი, მწვანეშია ჩაფლული. შემთხვევითი როდია, რომ ამ ქვეყანას მწვანე რესპუბლიკასაც უწოდებენ. აქ იმდენი სიმწვანეა, ყვავილები, სხვადასხვა ლამაზი კლუბი, რომ მინსკს სამართლიანად შეგიძლია უწოდო ქალაქი-ბაღი. დილაადრიანად ასობით მანქანა, მინსკის „მწვანეთმშენებლობის“ ათასობით მუშაკი ლამაზ მწვანე სპეციალურ ტანსაცმელში ადევნებს თვალყურს ბელარუსის დედაქალაქის სიმწვანეს, და ეს ხდება ყოველდღე, მთელი დღე-ღამის განმავლობაში, სუფთა გზების, ზღვა სიმწვანისა და ყვავილების წყალობით სუნთქავ მსუბუქად და განწყობილებაც საუკეთესოა.

მახსენდება შარშანდელი რუსულენოვანი ჟურნალისტების მორიგი საერთაშორისო ფორუმი. ბელარუსის დედაქალაქში პრესის, ტელევიზიისა და რადიოს 250-ზე მეტი წარმომადგენელი ჩავიდა მსოფლიოს 68 ქვეყნიდან. მე იმ დროს მინსკში ვიმყოფებოდი. ჩემი მეგობარი კოლეგების – ვადიმ ანასტასიადის, მარკ რივკინისა და მერაბ ჩანჩალაშვილის წყალობით მომიწია ურთიერთობა მქონებოდა ამ ფორუმის ბევრ მონაწილესთან. ყველა მათგანი, მსოფლიოს სააგენტოებისა და ტელეკომპანიების ჟურნალისტები, ვერ მალავდნენ თავიანთ აღფრთოვანებას ამ ქვეყნით, მისი დედაქალაქით – საზოგადოებრივი წესრიგით, ქუჩების სისუფთავით, სიმწვანით, აგრეთვე – პროდუქტების ხარისხის გამო, რომელთა დეგუსტირებაც უკვე მოესწროთ.

მართლაც, შემიძლია, გულწრფელად ვამტკიცო, ბელარუსში ჩემი მრავალწლიანი ვიზიტების, ტურისტებთან, აგრეთვე ბელარუსის სანატორიუმებში მრავალი ქვეყნიდან ჩამოსულ დამსვენებლებთან ფართო ურთიერთობის საფუძველზე, რომ ამ ქვეყანაში რძის, ძეხვეულის, ხორცის, პურ-ფუნთუშეულის და კვების სხვა პროდუქტების ხარისხი ჩინებულია! ფაქტი, რომ ტურისტებს ბელარუსიდან თავიანთ სახლებში მოაქვთ არა მხოლოდ ბელარუსული ხარისხიანი საქონელი – ფეხსაცმელები, ქალის თეთრეული, კოსმეტიკა, არამედ ძეხვეული, რძის, ხორცისა და სხვა მაღალხარისხოვანი პროდუქტები. მინსკის სუპერმარკეტებში პურ-ფუნთუშეულის პროდუქციის არომატისგან, გარეგნული იერისა და სიუხვისაგან თავბრუ გეხვევა. დიახ, ბელარუსში საუკეთესო პურეულია. სხვათა შორის, ანდრეი მაკარევიჩმა – ცნობილმა ბარდმა, თავის ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში განსაკუთრებით აღნიშნა ბელარუსული პურის ხარისხი, მინსკის შავ პურს მსოფლიოში ყველაზე გემრიელი და საუკეთესო უწოდა!

მინსკის ცენტრში მდებარეობს დედაქალაქის ერთ-ერთი საპროდუქტო ბაზარი – კომაროვსკი, რომელიც თავისი ფორმით უფრო სპორტის სასახლეს ჰგავს. აქ სიმპათიური, გაკრახმალებულ თეთრხალათიანი გამყიდველები ქარხნულ სასწორებზე მისხალ-მისხალ გიწონიან პროდუქტს. ფასები ხელმისაწვდომი და მისაღებია, მყიდველიც ყოველთვის საკმარისია. აქ, ბაზარში, ლამის სტერილური სისუფთავის ვითარებაში, მკაცრადაა რეგლამენტირებული პროდუქტების ასორტიმენტი. მთელი ბაზარი თითქმის ერთ დონეზეა ქუჩასთან, რაც მოსახერხებელია ნებისმიერი ასაკის მყიდველისათვის, აგრეთვე ინვალიდებისთვის. დღეს მინსკში კომაროვსკის მსგავსი ბაზარი საქართველოს მცხოვრებთათვის განუხორციელებელ ოცნებად რჩება. სულ კი მინსკში პროდუქტების 27 ბაზარია. სხვათა შორის, უკანასკნელი წლების განმავლობაში ბელარუსში წარმატებით ფართოვდება „ევროოპტის“ უდიდეს მაღაზიათა ქსელი, რომლებშიც კვების პროდუქტებისა და პირველი მოხმარების საქონლის ფართო ასორტიმენტია, ფასები კი მათზე დაახლოებით 18-21 პროცენტით უფრო დაბალია ჩვეულებრივზე. ბელარუსების ძირითადი მასა, საკმაოდ ხელმოკლედ რომ ცხოვრობს, მათში იძენს საჭირო პროდუქტებს.

სისუფთავის კიდევ ერთი თავისებურება: ბელარუსის ქალაქებისა და სოფლების ქუჩებში თქვენ ვერ დაინახავთ ვერც ერთ გადაგდებულ პოლიეთილენის პარკს, ჩვენს ქალაქებში, განსაკუთრებით – თბილისში ასე უხვად რომაა მოფენილი და მცირე ნიავის დროსაც კი გირლიანდებივით „ამკობენ“ ხეების ტოტებს. ბელარუსის მაღაზიებში უბრალოდ არაა უფასო პარკები! უბრალო, ერთჯერადი სარგებლობის პარკებს ბელარუსში თქვენ ვერ ნახავთ. აი, საქართველოსთვის რთული ამოცანის მარტივი გადაწყვეტა.

სხვათა შორის, სუპერმარკეტებისა და მაღაზიების თაროებზე ადგილობრივი წარმოების საქონლის სიუხვეა. ბელარუსის მთავრობა ყურადღებით ადევნებს თვალყურს საკუთარი წარმოების განვითარებას, სამამულო საქონლისა და პროდუქტების გამოშვებას, მუდმივად ამცირებს საიმპორტო ნაკადს. შარშან ქვეყანაში სასურსათო იმპორტმა 32 პროცენტი შეადგინა, არასასურსათომ – 64 პროცენტი. პრეზიდენტი ა.გ. ლუკაშენკო მუდმივად უსახავს მთავრობას მიზნად ადგილობრივი საქონლის ასორტიმენტის გაზრდასა და გაფართოებას.

ზემოთ აღვნიშნეთ ბელარუსული კვების პროდუქტების მაღალი ხარისხი. ბელარუსის მთავრობა დღენიადაგ ზრუნავს სოფლის მეურნეობის – ქვეყნის მთავარი მასაზრდოებლის – განვითარებისათვის. საბედნიეროდ, სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის აქ ყველა პირობა: უზარმაზარი მდელოები და საძოვრები, ველები, წყალსატევების საკმარისზე მეტი ოდენობა, ტბები და მდინარეები, ძლიერი აგროტექნიკა, „ბელარუსკალიას“ უმაღლესი ხარისხის ბუნებრივი სასუქები, კვალიფიციური კადრები. მთელ ქვეყანაში აგებულია აგროკომპლექსების ფართო ქსელი, რომელიც იძლევა ხორცს, ხორცისა და რძის პროდუქტებს, მთლიანად, მთელი ასორტიმენტით აკმაყოფილებს ბელარუსის მოთხოვნებს, აგრეთვე დიდი ოდენობით მიდის ექსპორტზე.

კარტოფილის, შაქრის ჭარხლის, კომბოსტოს, სტაფილოს, ხახვის, ნივრის და ა.შ. უხვი მოსავალი მოიწიეს შარშან. მარცვლეულის მოსავალმა კი 2014 წელს ყველა რეკორდი მოხსნა – რჩეული მარცვლეულის 9 მილიონი (!) ტონა ჩაიყარა საცავებში. და ეს, როდესაც მისი მოსახლეობა 9,5 მილიონი კაცია. და კიდევ – სიმინდი, პარკოსნები...

ბელარუსის ეკონომიკა ორიენტირებულია ექსპორტზე, ქვეყანა უცხოეთში ყიდის ყოველივე იმის 75-80 პროცენტს, რაც ადგილზე იქმნება და ამ თვალსაზრისით თავისი ეკონომიკური პოლიტიკის შეცვლას არც აპირებს.

როდესაც ამ ცოტა ხნის წინათ ერთ-ერთ თათბირზე გამოდიოდა, ა.გ. ლუკაშენკომ აღნიშნა, რომ „უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში ბელარუსის რესპუბლიკამ სახალხო მეურნეობის მოდერნიზაციაში დააბანდა 30 მილიარდი (!) დოლარი. 20 წლის წინათ ჩვენთან პრაქტიკულად გაჩერდა ყველა საწარმო, არ გვქონდა კვების პროდუქტები, დღეს კი ჩვენ ვახდენთ მათ ექსპორტირებას 7 მილიარდი (!) დოლარის ოდენობით“.

ლევან დოლიძე,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი
თბილისი-მინსკი.

(დასასრული იძნება)

◎ ჭიდაობა

აჭარა - სრული სვლით!

საქართველოს უძლიერესი ფალავნები მონაწილეობენ ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა საქართველოს ჩემპიონატში, რომელსაც გლდანში ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის აკადემიის დარბაზი მასპინძლობს. ეს ჩემპიონატი მთავარი შესარჩევი შეჯიბრებაა ივნისში ბაქოში ჩასატარებელი პირველი ევროპული თამაშებისთვის, რომელიც ევროპის ჩემპიონატთანაა გათანაბრებული. საგულისხმოა ისიც, რომ წლეულს მოჭიდავეებს ანაზღაურება გაეზარდათ (შესაბამისად, 800, 500 და 300 ლარი გახდა). ყოველივე ამან ჩემპიონატს მეტი სიმწვავე შესძინა. ასპარეზობის პირველ დღეს ჩემპიონები და პრიზიორები ოთხ წონაში გამოვლინდნენ. გაუწყებთ მათს ვინაობას:

59 კგ. 1. გოდერძი დავითაძე, 2. მურად მიქელაძე, 3. ედნარ შავაძე (სამივე-აჭარა), დავით ჩხარტიშვილი (ოზურგეთი).

71 კგ. 1. მინდია წულუკიძე (აჭარა), 2. მანუჩარ ცხადაია (ხობი), 3. გიორგი ჯავახია (თბილისი), ანტონ მამაგეიშვილი (ქუთაისი).

80 კგ. 1. ლაშა გობაძე (აჭარა), 2. თორნიკე ძამაშვილი (გარდაბანი), 3. ზურაბ ცინცაძე (ოზურგეთი), გიორგი ცირეკიძე (ქუთაისი).

98 კგ. 1. მიხეილ ქაჯაია (წყალტუბო), 2. რევაზ ნადარეიშვილი (თბილისი), 3. ვასილ იმერლიშვილი (რუსთავი), სერგო გოგისვანიძე (ქუთაისი).

ლექსო ცინცაძე

◎ ნიჩბოსნობა

მინგეჩაურში იყოჩაღეს

ოთხი ქვეყნის წარმომადგენლები, მათ შორის — ქართველები, მონაწილეობდნენ მინგეჩაურის საერთაშორისო რეგატაში. მედლები სამ ასაკში გათამაშდა.

აკადემიურ ნიჩბოსნობაში ახალგაზრდებს შორის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა მცხეთელი ნოდარ მარტოლეკი. მანვე 23-წლამდელებში ქუთაისელ გიორგი კანთელაძესთან ერთად ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი ნავით მეორე ადგილი დაიკავა. მეორე ოქროს მედალი ახალგაზრდებში ცოტნე პირველაშვილმა და ფარნა კაპანაძემ (ორივე-მცხეთა) დაიმსახურეს. უმცროს ასაკში მესამე ადგილი ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი ნავით მცხეთელ მიხეილ ოვაშვილსა და ფოთელ ზურაბ კინტირაიას ერგოთ.

23-წლამდელებში კანოეთი ზაზა ნადირაძე (მცხეთა) 200 მეტრზე მეორე ადგილით დაკმაყოფილდა. 18-წლამდელებში მალხაზ ჭინჭარაშვილმა (დუშეთი) იყოჩაღა: ერთადგილიანი ბაიდარათი 500 და 1000 მეტრზე პირველი ადგილები დაიკავა. ამავე ასაკში ფოთელი მურმან ალანია 200 მეტრზე პირველი იყო, 500 მეტრზე კი თანაგუნდელს მცირედით ჩამორჩა და ვერცხლს დაყაბულდა.

კაიაკით უფროს ასაკში თბილისელ ბადრი ყაველაშვილს 200 მეტრზე მხოლოდ მასპინძელმა ყურბანოვმა გაუსწრო და ვერცხლის მედალი ხვდა. 18-წლამდელებში ლევან ტატუნაშვილმა და ლუკა თხილაიშვილმა (ორივე-თბილისი) ორადგილიანი ნავით 500 მეტრზე მესამე ადგილი დაიკავეს. ტატუნაშვილმა უმცროს ასაკშიც იასპარეზა 500 მეტრზე და ერთადგილიანი კაიაკით ყველას აჯობა, 200 მეტრზე კი მეორე იყო. ფოთელმა გიორგი გოგიჩაიშვილმა ერთადგილიანი ბაიდარათი 200 და 500 მეტრზე ბრინჯაოს მედლები მოიპოვა.

ლაშა დიდია

◎ ფეხბურთი

გაჭირვება მაჩვენე და...

მიუნხენის „ბაიერნისა“ არ იყოს, მადრიდის „რეალმაც“ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში განახევრებული შემადგენლობით გააღწია. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ არ არსებობს გამოუვალი სიტუაცია — კვალიფიციური მწვრთნელის მიერ შერჩეული სათანადო ტაქტიკისა და მწყობრში მყოფი დანარჩენი შემსრულებლების ძალისხმევით, რომ იტვიან, კაცი (იგივე გუნდი) მთებსაც კი გადადგამს.

„რეალი“ — „ატლეტიკო“ 1:0 (0:0)
პირველი მატჩი 0:0
გოლი: ჩიჩარიტო (88-ე წუთზე).





როგორც გახსოვთ, შარშანდელ ფინალში „სამეფო კლუბმა“ გადამწყვეტ უპირატესობას მას შემდეგ მიაღწია, რაც მეტოქე რიცხვნაკლული დარჩა. ისტორია გამეორდა — ამჯერად პარტნიორები არდა თურანმა დააღალატა, რომელიც გერმანელმა მსაჯმა ფელიქს ბროიხმა 75-ე წუთზე გააძევა მინდვრიდან. ამ ეპიზოდამდე დიეგო სიმეონეს შეგირდები ღირსეულად უმკლავდებოდნენ ბეილის, ბენზემას, მოდრიჩისა და მარსელოს გარეშე მოთამაშე მასპინძლებს, თუმცა თურქის საბედისწერო იაღლიშის შემდეგ რამსები აერიათ და დაისაჯნენ კიდეც — 88-ე წუთზე როდრიგეს — რონალდუს კომბინაციით ჩიჩარიტომ კვანძი გახსნა — 1:0.

„მონაკო“ — „იუვენტუსი“ 0:0
პირველი მატჩი 0:1

ასე რომ, ჩემპიონთა ლიგის წლევანდელი რჩეულთა კვარტეტი მართლაც რომ საუკეთესოთა შორის საუკეთესოა: „ბარსელონა“, „ბაიერნი“, „რეალი“ და „იუვენტუსი“. მათი კენჭისყრის პირდაპირი ტელერეპორტაჟი შვეიცარიის ქალაქ ნიონიდან, უეფას შტაბბინიდან დღეს „კომედი არხზე“ 14 საათზე დაიწყება.

გიორგი ზოთაძე

◎ რაგბი

25 000 დაბრუნებული ბილეთი გაიყიდება

28 აპრილს დიდი ბრიტანეთის დროით დილის 10 საათიდან (თბილისის დროით 13 საათიდან) ქომაგებს მსოფლიო თასის დამატებითი ბილეთების შეძენის შესაძლებლობა ტურნირის ბილეთების გაყიდვის ოფიციალური ვებ-გვერდის (tickets.rugbyworldcup.com) მეშვეობით მიეცემათ.

გასაყიდად გამოვა 12 მატჩის 25.000 ბილეთი, რომლებიც 16 შეხვედრის მიმდინარე ბილეთებს დაემატება.

28 აპრილიდან გაიყიდება შემდეგი მატჩების ბილეთები:

საზოგადოებრივი სტადიონი, ბრაიტონი.
სამხრეთი აფრიკა — იაპონია, 19 სექტემბერი,
სამოა — აშშ, 20 სექტემბერი.
ელანდ როუდი, ლიდსი.
შოტლანდია — აშშ, 27 სექტემბერი.
კინგსჰოლმ სთედიუმი, გლოსთერი.
ტონგა — საქართველო, 19 სექტემბერი,
შოტლანდია — იაპონია, 23 სექტემბერი,
არგენტინა — საქართველო, 25 სექტემბერი,
აშშ — იაპონია, 11 ოქტომბერი.
სენდი პარკი, ექსეტერი.
ტონგა — ნამიბია, 29 სექტემბერი,
ნამიბია — საქართველო, 7 ოქტომბერი,
იტალია — რუმინეთი, 11 ოქტომბერი.
ვილა პარკი, ბირმინგემი.
სამხრეთი აფრიკა — სამოა, 26 სექტემბერი,
ავსტრალია — ურუგვაი, 27 სექტემბერი.

ბილეთების ხელახალი გაყიდვების ოფიციალური სერვისი, რომელიც 24 მარტს ამოქმედდა, ქომაგებს აძლევს იმ ბილეთების თავის ფასში დაბრუნების შესაძლებლობას, რომელთა მფლობელებსაც კონკრეტულ მატჩებზე დასწრება აღარ სურთ. ეს სერვისი უსაფრთხო, გამჭვირვალე და ავტორიზებული სისტემით ხორციელდება. ბილეთების ხელახალი გაყიდვების ოფიციალური სერვისი ტურნირის ბოლომდე იმოქმედებს. ნებისმიერი ბილეთი, რომელიც შეხვედრის დაწყებამდე 24 საათით ადრე დაიდება გასაყიდად, გამყიდველი ქომაგის მფლობელობაში დარჩება.

კოგა კოგახიძე

◎ კალათბურთი

არმიელებმა კვარტეტში შეაბიჯეს

საკალათბურთო ევროლიგის ოთხთა ფინალში „ფენერბახჩეს “ მსგავსად ცსკაც ითამაშებს. არმიელებმა მადრიდში გამგზავრების უფლება „პანათინაიკოსთან“ მეოთხედფინალური სერიის მოგებით მოიპოვეს — 3:1.

მას შემდეგ, რაც ბერძნებმა წინა შეხვედრაში გამარჯვებით ბრძოლას ინტრიგა დაუბრუნეს, საფიქრებელი იყო, რომ ფსიქოლოგიური დოპინგი მათ მეოთხე რაუნდის თავის სასარგებლოდ დასრულებაში დაეხმარებოდა.

მართლაც, მასპინძლები ამჯერადაც ვაჟკაცურად ეკვეთნენ მრისხანე მეტოქეს და პირველი ტაიმი მხოლოდ 31:37 დათმეს. როგორც აღმოჩნდა, ეს ელადელთა შესაძლებლობების მაქსიმუმი ყოფილა — შესვენების შემდეგ სტუმართა უპირატესობა აშკარა გახდა — 74:55.

რუსული კლუბის ლიდერმა ანდრეი კირილენკომ 13 ქულით და 10 მოხსნით ორმაგი დუბლი შეასრულა, მანუჩარ მარკოიშვილი კი სარბიელზე უკანასკნელ წუთზე გამოჩნდა და, ბუნებრივია, პარტნიორებს ვერაფრით შეეწია.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

მარტინ დემიჩელისს თავი სექსსუპერმენი ჰგონია

ახლა უკვე გვარიანად მოფამფალებული ვეტერანი არგენტინელი ფეხბურთელი მარტინ დემიჩელისი მაინც დიდ გულზეა და იძახის, ფეხბურთში რომ გარჯასა და აქტიურობას მიწუნებთ, აბა მიდით და ჩემს ცოლს ჰკითხეთ, საწოლში და მის შემოგარენში რა მაგარი ვინმეცა ვარო.

მარტინის ცოლი, მოდელი ევანგელინა ანდერსონი ის ქალი არაა, რომელიც სექსის თემაზე საუბარს მოერიდება და ღაწვები უხერხულობისაგან შეეფაკლება, მაგრამ ალბათ მრავლისმნახველი ევანგელინაც კარგად ხვდება, რომ ასეთი ამბებით ისინი ტრაბახობენ, რომლებსაც, რბილად რომ ვთქვათ, მთლად ვერა აქვთ კარგად ყველაფერი.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ფარიკაობა

ჯერ — ევროპა, შემდეგ — მსოფლიო თასი

გუშინ იტალიაში გაემგზავრა საქართველოს ახალგაზრდა მოხმალავე ვაჟთა ნაკრები სანდრო ბაზაძის, მიხეილ მარდალეიშვილის, საბა სულამანიძისა და ლუკა ობოლაძის შემადგენლობით (მთავარი მწვრთნელი მერაბ ბაზაძე). ქართველი მუშკეტერები 26-27 აპრილს ვიჩენცაში ახალგაზრდა მოფარიკავეთა ევროპის პირად-გუნდურ ჩემპიონატში მოსინჯავენ ძალებს. შარშან ჩვენმა ბიჭებმა თბილისში გამართულ მსგავს შეჯიბრებაში გუნდური მესამე ადგილი დაიკავეს, ხოლო სანდრო ბაზაძემ პირადში ჩემპიონობა მოიპოვა. ქართველი მოხმალავეები ამ ტურნირისთვის საფუძვლიანად მოემზადნენ — სანდრო და მიხეილი ერთი თვე გერმანიაში იყვნენ საწვრთნელ შეკრებაზე იქაურ ფარიკაობის ცენტრში, ხოლო საბა და ლუკა თბილისში გადიოდნენ წვრთნას, თან სულამანიძემ მსოფლიოს ახალგაზრდულ პირველობაზეც იასპარეზა. ჩემპიონატის შემდეგ ჩვენი მოხმალავენი ესპანეთში გადაინაცვლებენ, სადაც მათ ამჟამად გერმანიაში საწვრთნელ შეკრებაზე მყოფი ბექა ბაზაძე და ნიკა შენგელია შეუერთდებიან. 30 აპრილიდან მადრიდში მსოფლიოს თასის ეტაპი გაიმართება. — ექვსი მუშკეტერი პირად პირველობაში ჩაებმება, ოთხი საუკეთესო კი გუნდურში დაიცავს საქართველოს სპორტულ ღირსებას.

გივი გაგუა

მილოცვა

პროფესორ გივი მინდელის საამოს წევრები – რევაზ თევზაძე, თამაზ ცინცაძე, დემურ მიქაძე, დათო დათოშვილი, ბონდო ქობულია, ივიკო საყვარელიძე, თამაზ ყაჭეიშვილი, გურამ ახრახაძე, მერაბ მახარაძე, როლანდ იოსელიანი და ჯუმბერ გონაშვილი დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ულოცავენ დაბადების დღეს ქართველი ინტელიგენციის ბრწყინვალე წარმომადგენელს ბატონ გაიოზ გალდავაძეს.

დედაქალაქი

როგორ მოგვარდება „ხრუშჩოვკელების“ პრობლემა?

ე.წ. ხრუშჩოვკების და ნგრევის პირას მყოფი სახლების პრობლემას თბილისის მერია უბნების მიხედვით, ინდივიდუალურ რეჟიმში უდგება, – ამის შესახებ თბილისის მერმა დავით ნარმანიამ განაცხადა.

„ჩვენ ვანვითარებთ ამ პროექტს ინდივიდუალურად უბნების მიხედვით, სადაც მოთხოვნა არსებობს კერძო სექტორის მხრიდან. ეს ეხება არა მხოლოდ „ხრუშჩოვკების“ პროექტს, არამედ ძველი ნგრევის პირას მყოფი სახლების პროექტებს, სადაც გაზრდილი კოეფიციენტი მიეცემა ჩვენი მხრიდან მშენებელ კომპანიებს და ისინი ავითარებენ ამ პროექტებს. რამდენიმე ასეთი წინადადება ჩვენთან იყო შემოსული, განვიხილეთ და მწვანე შუქი მივეცით, რამდენიმე მათგანი ახლაც მოლაპარაკებისა და განხილვის სტადიაზეა. ასე რომ, ინდივიდუალურ რეჟიმში ვუდგებით უბნების მიხედვით ამ პრობლემას“, – განაცხადა ნარმანიამ.

კითხვაზე, რამდენი ე.წ. ხრუშჩოვკა და ავარიული სახლის განახლება და დემონტაჟი მოხდება ამ პროექტის ფარგლებში, თბილისის მერმა განაცხადა, რომ წინასაარჩევნო მინიმალური დაპირება იყო ის, რომ 50 სახლზე მეტის ჩანაცვლება მოხდებოდა.

რეკლამა
293-37-87;
568 82-09-84.

პრესა

დაიბეჭდა სამეცნიერო-საზოგადოებრივი ჟურნალის „სამი საუნჯის“ პირველი კვარტლის ნომერი. მასში, ტრადიციისამებრ, ქვეყნისთვის საჭირბოროტო საკითხებისადმი მიძღვნილი სტატიები არის გამოქვეყნებული. **გვანცა კოპლატაძის** წერილით მკითხველი „აწყურის ღმრთისმშობლის ხატის ისტორიას“ გაეცნობა; საინტერესო სიახლე ისაა, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ახლადდაწერილი აწყურის ხატი, საქართველოს საზღვრებს გარეთ მრავალი სიწმინდის მოლოცვის შემდეგ, დედაქალაქში 17 მაისს შემობრძანდება და წმიდა სამების საკათედრო ტაძარში დაიდებს ბინას. **ზურაბ ცუცქირიძე** ჩვენი საზოგადოების „მადლისა და უმადურობის“ პრობლემას განიხილავს და მიიჩნევს, რომ ისტორიის უცოდინარი ან ძალიან უმადური და ცოტა ჭკუასუსტიც უნდა იყოს ის ადამიანი, ვინც ვერ ხედავს იმას, რომ რუსეთთან შეერთების შედეგად გადარჩა საქართველო სულიერადაც და ფიზიკურადაც. რუსეთთან შეერთებამდე საქართველოში არც ერთი საერო სკოლა არ იყო, ხოლო გასული საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში სამი ათასზე მეტი სკოლა ფუნქციონირებდა. სკოლები იყო გახსნილი ყველაზე პატარა სოფლებშიც კი; გასული საუკუნის ბოლოს საქართველოში იყო ოცამდე უნივერსიტეტი და ინსტიტუტი, სადაც თითქმის ყველა მაშინ არსებულ პროფესიაში მზადდებოდნენ სპეციალისტები. უმაღლესი განათლების აი, ასეთი ფართო ქსელის საფუძველზე ფუნქციონირებდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია თავისი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მთელი სისტემით.

გვანცა კოპლატაძე თავის წერილში „სომეხთა ჩამოსახლება სამცხე-ჯავახეთში XIX საუკუნის 30-იან წლებში“ ასკვნის, რომ დემოგრაფიული სურათი სამხრეთ საქართველოსი, ე.წ. ზემო ქართლის ანუ მესხეთისა, რომლის მკვიდრი მოსახლეობაც ოდითგანვე ქართული იყო, არც მაშინ შეცვლილა, როცა იგი თურქებმა მიიტაცეს და თავიანთი მმართველობა დაამყარეს. ამ სურათმა ცვლილება 1830 წლიდან დაიწყო, მას შემდეგ, რაც 1828-29 წლების რუსეთ-თურქეთის ომში გამარჯვებულმა რუსეთმა ახალციხის საფაშოს ნაწილი საქართველოს შემოუერთა. ძირითადი მიზეზი ამ ცვლილებისა გამაჰმადიანებული მესხების მიერ ეროვნების დაკარგვა გახდა. საქმე ისაა, რომ ამ ომში მათი დიდი ნაწილი თურქეთის მხარეზე იბრძოდა და თურქების დამარცხების შემდეგ დედასამშობლოსთან შეერთებას და ქრისტიანულ იმპერიაში ცხოვრებას მამა-პაპის მიწიდან აყრა და თურქეთში გადასახლება ამჯობინა. ამ პროცესისათვის ხელი არც რუსეთის მთავრობასა და რუსული არმიის სარდლობას შეუშლია სრულიად გასაგები მიზეზის გამო: იმპერიას თურქეთის საზღვრისპირა რეგიონში, არა მტრულად განწყობილი, არამედ ერთგული მოსახლეობა სჭირდებოდა, სომეხთა სახით, რომელიც საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, მის ინტერესებსაც დაიცავდა.

ჟურნალის რედაქტორი **გრიგოლ რუხაძე** სტატიაში „გლობალიზაციის ბედნიერი მონები“ ასაბუთებს, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ცნობილი წარმომადგენლების – ა. კვიტაშვილის, ე. ზღულაძის, გ. გეწაძის, ზ. ადეიშვილის, მ. სააკაშვილის – უკრაინის სახელისუფლო პოსტებზე დანიშვნით სრულიად ცხადი გახდა, რომ საქართველოში ცხრა წლის განმავლობაში მოქმედი ნატო მმართველი გუნდი დანაშაულებრივი საერთაშორისო ორგანიზაციის ინსტრუქციებით ხელმძღვანელობდა. ნაცების მიერ გლობალისტური იდეოლოგიით განხორციელებულმა რეფორმებმა მიზანმიმართულად გაანადგურა განათლების სისტემა, მეცნიერების დარგები და კულტურის ცალკეული სფეროები; გარდა იმისა, რომ ხელში ჩაიგდო მედიის ყველა ბერკეტი, განსაკუთრებით ტელევიზიებში ამორალური, ანტიქრისტიანული და ანტიეროვნული სული დაამკვიდრა; არ დარჩენილა არც ერთი ეროვნული სიწმინდე, ძეგლი თუ მემორიალი, გლობალიზმის ადგილობრივი ადეპტების მსახვრალი ხელი რომ არ შეხებოდა“.

ელდარ ბუბულაშვილის ნარკვევში „კონსტანტინე გვარამაძე – სიძველეთა დამცველი (ერთი უცნობი დოკუმენტი)“ წარმოჩენილია XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე ცნობილი მწიგნობრის, სამხრეთ საქართველოს (მესხეთის) მკვიდრის კონსტანტინე გვარამაძის ღვაწლი ძველი ქართული კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენაში.

მამუკა ცუხიშვილი გვაცნობს XVIII-XIX საუკუნეების გამოჩენილი ქართველი საეკლესიო მოღვაწის, ცნობილი ორატორის, მქადაგებლისა და განმანათლებლის გაიოზ რექტორის მოღვაწეობას.

ბორის დარჩიას კრიტიკულ ნაშრომში „მეცნიერება და პატიოსნება“ უარყოფილია როსტომ ჩხეიძის ბრალდება, ვითომცდა პავლე ინგოროყვას მეცნიერულ მემკვიდრეობას უგულებელყოფდენ და მას ებრძოდნენ ხელისუფლება და, სახელდობრ, ალექსანდრე ბარამიძე.

გიორგი გოგოლაშვილი წარმოგვიდგენს ფილოლოგიურ ნარკვევს „დავით კლდიაშვილი და ქართული ენა“.

გრანი ქავთარიას სტატიაში გაეცნობით ანტიკური ხანის „შვიდი ბრძენის“ შეხედულებებს.

ჟურნალში, აგრეთვე, დაბეჭდილია ცნობილი ისტორიული ნაშრომების თეზისები: **ნიკო ბერძენიშვილის** „თათართა ბატონობის ხანა“ და **ვალერიან მაჭარაძის** „რუსეთ-თურქეთის ომი 1768-1774 წლებში და საქართველო (ტოტლებენის ავანტურა)“.

ჟურნალს, ჩვეულებისამებრ, დართული აქვს რეზიუმეები რუსულ და ინგლისურ ენებზე.

ავთანდილ ბექაური

სამი საუნჯე

1(15), 2015



ალიან-ჩალიანი

ვინ შეუკვეთა ხარძიანის მკვლელობა?

მოკლული ბიზნესმენის ბესიკ ხარძიანის შვილი პირველი ქორწინებიდან, მიხეილ ხარძიანი აცხადებს, რომ მამამისის მკვლელობა ბიზნესმენის მეორე მეუღლემ ეკა ნონიკაშვილმა შეუკვეთა. ამის შესახებ მიხეილ ხარძიანმა დედასთან და დასთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

„შევდივართ ბებიაჩემთან, სადაც კამათობენ მამიდაჩემი მაია ხარძიანი და ბებიაჩემი. შევდივართ და გვეუბნებიან, გაჩუმდით, ხმა არ ამოიღოთ ქონებაზე. თქვენზე ორივეზე და ყველაზე ტყვიებია მოშვერილი. ყველას დაგხოცავენ, ოღონდ დაიწყებენ შენით, მეუბნება მე, მერე ჩემი დით და ასე შემდეგ და ქონება დარჩება ეკა ნონიკაშვილს. ამ დროს გამოეპასუხა მაია ხარძიანი – დედა დაწყნარდი, დავკრძალოთ ბესო და თუ არ იტყვის ეკა ნონიკაშვილი სიმართლეს, 2-3 დღეში მე გამოვალ და მე ვიტყვი იმ სიმართლეს. მაინტერესებს რა სიმართლე იცის მაია ხარძიანმა ეკა ნონიკაშვილზე, თქვას“, – განაცხადა მიხეილ ხარძიანმა.

მისი თქმით, მას გააჩნია ინფორმაცია, რომ მამამისი ეკა ნონიკაშვილმა დააჭერინა ქონების მითვისების გამო.

„მისი გარდაცვალება, პირადად მე მიმაჩნია, რომ ეკა ნონიკაშვილმა დაუკვეთა“, – განაცხადა მიხეილ ხარძიანმა.

მისივე თქმით, ის დაახლოებით 5 დღის წინ შეხვდა გია უდესიანს. მიხეილ ხარძიანი გია უდესიანისთვის ბოდიშის მოხდასაც ითხოვს.

„გიორგი უდესიანის ნაჩუქარი და აშენებული წავკისის სახლი რატომ აქვთ? გიორგი უდესიანის ნაჩუქარი „პორშეს“ ჯიპით რატომ დადის ეკა ნონიკაშვილი? მაინტერესებს ეს ადამიანი მტრად რატომ შერაცხეს. ყველა ვიდეოკადრი მაქვს ნანახი. მოგიწოდებთ, გამოდით და ბოდიში მოიხადეთ გიორგი უდესიანის ოჯახის წინაშე, საზოგადოების და პატრიარქის წინაშე. ხარძიანთა გვარს, ეს ჩვენ არ გვეკადრება. ნუ შეგყავთ გამოძიებაც ჩიხში, იცით რასაც ვამბობ და თქვით სიმართლე, თორემ წარდგებით ჩვენი გვარის შეხვედრაზე და იქ მოგთხოვთ პასუხს“, – განაცხადა მიხეილ ხარძიანმა.

ბესიკ ხარძიანის ოჯახი გაოგნებულია მიხეილ ხარძიანის მიერ გაკეთებული განცხადებებით, – ამის შესახებ მოკლული ბიზნესმენის ბესიკ ხარძიანის ოჯახის ადვოკატმა მალხაზ სალაყაიამ განაცხადა.

„ოჯახი არის გაოგნებული, როგორ შეიძლება ადამიანს ეს დაბრალო და მსგავსი დაბრეცილი აზრი გაგიჩნდეს“, – განაცხადა ადვოკატმა.

მთავარი პროკურატურა ბესიკ ხარძიანის უფროსი შვილის განცხადებებზე კომენტარს არ აკეთებს, თუმცა, აღნიშნავს, რომ ხარძიანის ოჯახის წევრები დაკითხულები არიან.

როგორც პროკურატურაში განაცხადეს, გარდა იმისა, რომ ოჯახის წევრები დაკითხულები არიან, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, სხვა კომენტარს ვერ აკეთებენ.

„ინტერპრესნიუსის“ შეკითხვაზე, დაკითხულთა შორის არიან თუ არა ხარძიანის პირველი მეუღლე და უფროსი შვილი, პროკურატურაში განაცხადეს, რომ გამოძიებას ჩვენება მათაც მისცეს.

ინფორმაცია

გაიზრდება თუ არა რეგიონებში დენის საფასური?

დააკმაყოფილებს თუ არა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისია „ენერგო პრო ჯორჯიას“ მოთხოვნას ტარიფის კორექტირებასთან დაკავშირებით, მიმდინარე წლის 10 სექტემბრამდე გახდება ცნობილი.

სემეკმა „ენერგო პრო ჯორჯიას“ მოთხოვნის განხილვა გუშინ დაიწყო. როგორც „ენერგო პრო ჯორჯიას“ წარმომადგენლები აცხადებენ, ტარიფის კორექტირების საჭიროება ელექტროენერგიის შესყიდვის საფასურის მატებამ განაპირობა.

„ჩვენ ვართ სადისტრიბუციო კომპანია, ჩვენ ელექტროენერგიას ვყიდულობთ, რომ შემდეგ ის აბონენტამდე მივიტანოთ. შესყიდული ელექტროენერგიის ფასი იმდენად გაიზარდა, რომ კომპანიამ თითქმის ყველა რესურსი გამოიყენა ამ მიმართულებით. ჩვენს მიერ შესყიდული ენერგია დაახლოებით 30%-ით გაძვირდა. ჩვენ გვყავს შვილობილი კომპანია „ჯი ფაუერი“, რომელიც ყიდულობს გაზს, რომელსაც ჩვენ დოლარით ვყიდულობთ, შესაბამისად ჩვენ დღეს ვითხოვთ „ჯი ფაუერის“ ტარიფის კორექტირებასაც“, – განაცხადა კომპანია „ენერგო პრო ჯორჯიას“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ავთო დვალიშვილმა.

სომხეთიდან 27 ტონა დაავადებული კარტოფილი შემოვიდა

როგორც შემოსავლების სამსახურიდან იტყობინებიან, სადახლოს საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით, სომხეთიდან, 27 000 კგ კარტოფილით დატვირთული მანქანა შემოვიდა.

შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ფიტოსანიტარიული პროცედურების განხორციელებისას, პირველადი შეფასებით, ტვირთში კარტოფილის საკარანტინო მიკროორგანიზმის – Ralstonia solanacearum – მურა სიდამპლის არსებობაზე მიუთითეს.

საკარანტინო ობიექტის იდენტიფიკაციისა და დადასტურების მიზნით, ნიმუში სპეციალურ ლაბორატორიაში გაიგზავნა. ლაბორატორიულმა კვლევამ კარტოფილის ნიმუშებში, საკარანტინო მიკროორგანიზმი, კარტოფილის მურა სიდამპლე დაადასტურა.

საქართველოს მთავრობის №429 დადგენილების თანახმად, დაავადებული საქონელი უკან, ექსპორტიორ ქვეყანაში გაბრუნდება.

SIC!

ვინ მართავს შეუცნობელი მფრინავი ობიექტის საჭეს?

საქმე უცხოპლანეტელებთან არა გვაქვს

ტელესკოპმა „ჰაბლმა“ აღმოაჩინა ღვთის სამყოფელი- გიგანტური სტრუქტურა, რომელიც მიცურავდა კოსმოსურ სივრცეში და ბრწყინავდა არამიწიერი შუქით.

უცხოპლანეტელები თუ სხვა გონება? ისინი მოფრინავენ სხვა პლანეტებიდან თუ დიდი ხანია, რაც ჩვენს შორის ცხოვრობენ? თუ ისინი – ღვთის მიერ გამოგზავნილები არიან?

თავის ახალ წიგნში „შეუცნობელი მფრინავი ობიექტები. საიდუმლოებაში ჩაწვდომა“ ცნობილი უროლოგი ვლადიმირ აჟაჟა აყენებს სენსაციურ დოქტრინას: კაცობრიობა თანაარსებობს სხვა გონების ზეჰუმანოიდურ ფორმასთან. და „მფრინავი თეფშების“ პოლიტიზება ხდება სულაც არა სხვა პლანეტების მცხოვრებლების, როგორც ადრე მიაჩნდათ, მიერ. მაშ, ვის მიერ?

რის შესახებ დუმს ამერიკის შეერთებული შტატები?

– შეუცნობელი მფრინავი ობიექტების (შმო) მეთვალყურეობის ფაქტების უარყოფა უკვე უბრალოდ სისულელეა. ეს ობიექტები დაინახა ათასობით ფსიქიკურად ჯანსაღმა ადამიანმა, რომლებსაც არ შეეძლოთ ერთმანეთთან შეთანხმებულიყვნენ. ადამიანს არ შეუძლია შეუცნობელი ობიექტებისთვის თვალ-ყურის დევნების ყველა შემთხვევის 25 პროცენტის ახსნა.

ყველა განვითარებული სახელმწიფოს სპეცსამსახურებს აქვთ მონაცემები **შმო-ზე**. თავისი დოსიე ამ თემაზე აქვს ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უშიშროების სააგენტოს გამოკვლევების ფედერალურ ბიუროს. თანაც ეროვნული უშიშროების სააგენტოს დოსიეში არის ცნობები ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სეპარატისტული შეთანხმების შესახებ, თითქოსდა უცხოპლანეტელ არსებათა რასასთან.

უფოლოგებს მიაჩნიათ, რომ დათვის მთასთან არის შეუცნობელი მფრინავი ობიექტის ბაზა

– რა დამადასტურებელი ცნობებია, რომ შმო არსებობს?

– სამხედრო მეზღვაურებისა და მფრინავებისაგან დაგროვილია ბევრი ინფორმაცია. მათ გამოავლინეს **შმო-ეს** ბაზირების 140 ადგილი ძნელადმისადგომ ადგილებსა და გვირაბებში. დაახლოებით 90 მათგანი – ხმელეთზეა, დანარჩენები – წყალქვეშ. მაგალითად, ხმელთაშუა და შავ ზღვებში, ლადოგის ტბაზე, ბაიკალის ტბაზე. მოხერხდა კინოგადაღება **შმო-ის**, რომელიც მოძრაობდა შავი ზღვის ზედაპირზე იუ-დამის (დათვის მთა ყირიმში) რაიონში.

დღეს ჩვენ არ ვიცით, საიდან მოვიდნენ ისინი და რა მიზნით. მოვიდნენ საერთოდ თუ ცხოვრობენ ჩვენს გვერდით დიდი ხანია. მნიშვნელოვანია, რომ ახლა ცნობილია, ჩვენ მარტონი არა ვართ სამყაროში.

– მაშ საიდან SETI -ის პროექტი (არადედამიწისეული გონების სიგნალების ძებნა)? მას ხომ ნახევარ საუკუნეზე მეტია, არ მოუცია არანაირი შედეგები?

– სწორედ ამას ვამბობ მეც! მე არ ვამტკიცებ, რომ საქმე გვაქვს უცხოპლანეტელებთან. საძიებელი უცხოპლანეტური გონება დღემდე არაა აღმოჩენილი, თუმცა დრეიკის (ამერიკელი ასტრონომი, რომელმაც პირველმა შექმნა რადიოტელესკოპი იმ მიზნით, რომ მოენახათ არამიწიერი სიცოცხლე – **რედ.**) ფორმულით სამყაროში უხვად უნდა იყოს მაღალგანვითარებული ცივილიზაციები.

უფოლოგები, გავრცელებული აზრის საპირისპიროდ, არ ეძებენ უცხოპლანეტელებს. ისინი ნედამიწაზე და კოსმოსში უცხო გონების სხვადასხვა ფორმის გამოჩენისა და ადამიანებზე მათ ზემოქმედებას, ბუნებასა და ტექნიკას სწავლობენ. მეც თითქმის ორმოცამდე წლის უფოლოგიური საქმიანობის განმავლობაში, ძიების, ცდების, შეცდომების გზით ბევრი ჰიპოთეზა შევთავაზე. და, ბოლოს და ბოლოს, მივედი ახალ დოქტრინასთან. ახლა მას ვაპატენტებ, როგორც აღმოჩენას.

– და რა არის არსი?

– ის, რომ უცხო გონება – ეს არა რაღაც „მწვანე ადამიანები“ არიან, გიგანტური მოაზროვნე სისტემა, სოლარისის მსგავსი მოაზროვნე სისტემა, რომელიც სტანისლავ ლემმა აღწერა. რაღაც გლობალური ინტერნეტის მსგავსი, რითაც განმსჭვალულია ყოველივე ჩვენს გარშემო. და კაცობრიობა მისი ნაწილია, ჩვენ ვთანაარსებობთ გონიერების ამ ფორმასთან. ჩვენი „მე“ – ესაა მილიარდობით ნეირონი, რომელთაგანაც შედგება თითოეული ჩვენგანის ტვინი, შედის მის შემადგენელ სტრუქტურაში, ქმნის მასთან ერთად ერთ მთლიანს. ასეთ კონტექსტში უცხო გონება – ეს ღმერთის სამეცნიერო დასაბუთებაა.

მაშ რაღაა **შმო?** მიმაჩნია , რომ ეს არის ტექნიკური მოწყობილობა უცხო გონების პროგრამის რეალიზაციისთვის. მხატვრულად რომ ვთქვათ, მისი ომონი, აქტიური რეზიდენტები დედამიწაზე. ისინი იყენებენ ფარულ ბაზებს, ხოლო იმართებიან კიბორგებით – გენური ინჟინერიის უსულო პროდუქტებით, რომლებსაც არ გააჩნიათ სმენა, არც ნერვული, არც საკვების გადამუშავების სისტემები.

ღვთის ტახტი

– რა საფუძველი გაქვთ ისაუბროთ უცხო გონების შესახებ?

– ჩვენ 75 წელი გვასწავლიდნენ, რომ შემეცნება – ესაა რეალობის ასახვის მხოლოდ ადამიანისთვის დამახასიათებელი უმაღლესი ფორმა. ესე იგი მხოლოდ ადამიანის ტვინის თავისებურება. მაგრამ ამ წლების განმავლობაში წამოაყენეს ბევრი ორიგინალური ნაყოფიერი სამეცნიერო იდეაც. გამოირკვა, რომ შემეცნების ფენომენი არ მოითხოვს ადამიანის ტვინთან მიკერებას. იგი შეიძლება გამოვიდეს, როგორც აბსტრაქტული ოპერატორი. მაგალითად, მანქანურ ინტელექტს აქვს შემეცნების ყველა ფუნქცია, გარდა ინფორმაციის ინტუიტური მიღებისა. ელემენტარულ ნაწილაკებს „შეუძლიათ“ მიიღონ ინფორმაცია გარედან, შეინახონ იგი და გადასცენ გარეთ. უკანასკნელი გამოკვლევები კი გვიჩვენებენ, რომ მათ აქვთ უნარი, აწარმოონ მასთან ლოგიკური ოპერაციები! გამოდის, რომ შემეცნების ესა თუ ის ელემენტები აქვთ არა მხოლოდ ყოველივე ცოცხალს, არამედ მატერიალური მსოფლიოს ნებისმიერ ობიექტსაც კი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, შემეცნებას შეიძლება ჰქონდეს არა მხოლოდ ინდივიდუალური ხასიათი. აქედან ერთი ნაბიჯია ერთიან პლანეტარულ ან კოსმოსურ შემეცნებამდე. აი თქვენ, მაგალითად, იცით, რომ ვაკუუმი შეიძლება მოაზროვნე იყოს?

– ეს როგორ?!

– ასეთი მიდგომა დაუდო საფუძვლად თავის თეორიას მათემატიკოსმა ვ. ნალიმოვმა. საკითხი შეეხება არა უბრალოდ სიცარიელეს, არამედ ფიზიკურ ვაკუუმს, რთულ კვანტურ-მექანიკურ ობიექტს. თურმე, მას შეუძლია თავის თავში ატაროს აზრობრივი ინფორმაცია და მოახდინოს მისი ოპერირება. მრავალსაუკუნოვანი გამოცდილებიდან ცნობილია, რომ ადამიანს შეუძლია ჩაერთოს მასში. ყველაზე ხშირად ეს ხდება შემეცნების ეგრეთ წოდებულ შეცვლილ მდგომარეობაში – ტრანსში, მედიტაციის, ლოცვის დროს.

– ამიტომ უწოდებთ უცხო გონებას თქვენ ღვთის მეცნიერულ დასაბუთებას?

– არა მხოლოდ იმიტომ. უფლის სამყოფელი უკვე მოხვდა ორბიტალური ტელესკოპის „ჰაბლის“ ობიექტივში. 1994 წლის 26 დეკემბერს „ჰაბლმა“ გადმოსცა დედამიწაზე სურათები, რომლებზეც აღბეჭდილია კოსმოსში მცურავი ქალაქი – გიგანტური სტრუქტურა, რომელიც გადაჭიმულია მილიარდობით კილომეტრზე და ბრწყინავს კაშკარა არამიწიერი შუქით. ნასამ უმალვე გასაიდუმლოვა სურათები, მაგრამ მოახერხეს მათი გადაქაჩვა სერვერიდან. და მათ მთელი სამყარო გააოგნეს. მოცურავე ქალაქი ერთხმად იქნა აღიარებული შემოქმედის სამყოფლად, ადგილად, სადაც მხოლოდ ღვთის ტახტი შეიძლება იყოს. ასე ამბობდა ბევრი ექსპერტი, მეცნიერი, იმავე ნასას წარმომადგენლები.

დადიოდა ხმები, რომ რომის პაპმა იოანე პავლე მეორემ ითხოვა, გაეგზავნათ მისთვის ეს ფოტოები. ვატიკანმა არ დაადასტურა, თუმცა, არც უარუყვია ეს ინფორმაცია.

დმიტრი ვლადიმიროვი

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

◎ ციცხალი ანეკდოტები

ამონაწერი ჟურნალისტის სამახსოვროდან:

„როგორ ვაქციოთ ცუდი ახალი ამბავი კარგად: „ეკონომიკის დაბალი მაჩვენებლები“ – ეს ცუდი ახალი ამბავია, მაგრამ „ეკონომიკის დაბალი მაჩვენებლები შეიძლებოდა კიდევ უფრო დაბალი ყოფილიყო“, – ეს უკვე კარგი ახალი ამბავია.

* * *

სალიერსა და მოცარტს ჩვენს დროში რომ ეცხოვრათ, სალიერს მოცარტის მოწამვლა არ დასჭირდებოდა – იგი, უბრალოდ წერილს მისწერდა კულტურის მინისტრს – ასე ხომ გაცილებით ეფექტიანია და, თანაც, უფრო უსაფრთხოც!

* * *

კაცმა ცხოვრებაში ყოველი დღე ხუთი ლიტრი მწვანე ჩაი რომ დალიოს, 120 წელს იცოცხლებს.

ხოლო თუკი კაცი ცხოვრებაში ყოველდღე ერთ ლიტრ არაყს დალევს, ის მხოლოდ 40 წელს იცოცხლებს.

მაგრამ კაი დროს კი გაატარებს!!

ყველგან მატყუარები და აფერისტები არიან! ფხვნილი ვიყიდე, ზედ აწერია: „ასი გრამი – უფასოდ!“ გავხსენი – შიგნით კი მარტო ფხვნილია!

* * *

საყოფაცხოვრებო ტექნიკის მაღაზიაში ტელეფონი რეკავს:

– გენაცვალე, გუშინ თქვენთან სარეცხის მანქანა ვიყიდე, სახლში მივიტანე, ჩავრთე, ის კი არ მუშაობს!

– ექსპლუატაციის სამახსოვრო თუ წაიკითხეთ?

– თქვენ მე იდიოტი ხომ არ გგონივართ?!

* * *

ორი ქერათმიანი მანდილოსანი საუბრობს:

– იცი, გასახდომი ჩაი ვიყიდე!

– მერე, როგორია?

– რა უჭირს, ხაჭაპურთან ერთად გემრიელია!

* * *

პოლიტოლოგიის ლექციაზე:

– დემოკრატია იშვა მაშინ, როცა მამაზეციერმა ადამი ევასთან მიიყვანა და უთხრა „აირჩიე ცოლი“!

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24